

# ახალი თაობა



სამშაბათი, 7 მარტი, 2017

№55 (7290)

ფასი: 50 თეთრი

**მამუკა არაუიძა:**  
„ღმრთაობის  
მიღებას  
არ უნდა  
დავთანხმდეთ“




ა3.5

**6 მარტიდან**

**ვიქტორ პიუგო  
საბრალლონი**

**ტომი IV**

ფასი  
გაფართოვ  
ერთად  
10 ლარი



## „მამა გიორგი მამალაძეზე ზენოლას პროკურატურის პირველი პირები ახორციელებდნენ“



ა3.2

„დავჯექი სკამზე და უცებ დამეტაკნენ, ერთმა უკნიდან პირზე ხელი ამაფარა, სახეში მომიკიდა ხელი, მერე ხელები გამიკავეს და ხელბორკილები დამადეს. უცებ ვერ მივხვდი, რა ხდებოდა, გაგიჟებული ვეკითხებოდი, რა ხდება-მეთქი. არც ერთს პოლიციელის ფორმა არ ეცვა. ასე ხელბორკილდადებული გამიყვანეს აეროპორტიდან და ჩამსვეს მანქანაში“



**ზვიად  
ქორიძა:**  
„პრემიერი  
ჩიხიდან  
გამოსვლაზე  
ფიქრობს“



ა3.4


**„პრემიერობისთვის ირაკლი რუხაძეს  
ამზადებენ, თბილისის  
მერობისთვის — მამუკა ხაზარაძეს“**



ა3.3

„ევროპული საქართველოს“  
ლიდერად შესაძლოა  
მარგველაშვილი ვიხილოთ“

**ლადო  
საღოპლაშვილი:**  
„ბოკარია  
მერაბიშვილის  
„დაქარვას“  
სდილობს“




**საგამოძიავო  
სამსახური**

ა3.7

**ფარმაცევტული  
საქმიანობის  
დაპარტამენტის უფროსი  
დავით მაჭარაშვილი  
დააკავეს**



გიგა ბოკერია  
მატროსოვის ციხეში  
ვანო მერაბიშვილს  
შეხვედა



ქუთაისში მე-9 სართულიდან  
ახალგაზრდა მამაკაცი გადმოვარდა

**უკრაინის მოქალაქე  
ნაკოდანაშაულისთვის  
თბილისში დააკავეს**



**როგორ  
დავიცვათ  
საბანკო  
დანაშოგები?**

როდოდან გამოჩნდება  
ა3.6 თბილისში პირველი  
ვერტიკალური პარკინგი?



ა3.6



ა3.6

**ქართული კონიაკისა  
და ღვინოების წარმატება  
ღვინისა და ალკოჰოლიანი  
სასმელების  
საერთაშორისო  
კონკურსზე**







# ადვოკატი რამიშვილი: „მამა გიორგი მამალაძეზე ზენოლას პროკურატურის პირველი პირები ახორციელებდნენ“



შორენა მარსაგიშვილი

რამდენიმე დღიანი ტაიმ-აუტის შემდეგ ციანიდის საქმე ისევ აქტუალური გახდა. გავრცელებული ინფორმაციით, დაკავებული მამა გიორგი მამალაძე გუშინ, 6 მარტს, უნდა ეზიარებინათ. დაკავებული ჩვენების მიცემას მანამდე არ აპირებს, ვიდრე მისი ოჯახის უსაფრთხოება დაცული არ იქნება და არ აზიარებენ.

საპატრიარქოს მსჯავრდებულებთან ურთიერთობის დეპარტამენტის თავმჯდომარემ, დეკანოზმა გიორგი თევდორაშვილმა რამდენიმე დღის წინ კახიშვილის უწყებას სთხოვა, რომ დაკავებულისთვის ზიარების უფლება მიეცათ. სასჯელალსრულების სამინისტრო ამ მოთხოვნას დათანხმდა, 6 მარტს კი გაირკვა, რომ დაკავებული დეკანოზის ზიარების საკითხი ჯერ ისევ გაურკვეველია.

— მამა გიორგი მამალაძის ზიარების საკითხი მიტროპოლიტმა დიმიტრიმ უნდა გადაწყვიტოს. აღნიშნული, სავარაუდოდ, უახლოეს პერიოდში მოხდება, — განაცხადა მამა გიორგი თევდორაშვილმა ჟურნალისტებთან საუბარში.

სანამ დაკავებული დეკანოზი პროკურატურისთვის ჩვენების მიცემისგან თავს იკავებს, საგამოძიებო უწყებამ დოკუმენტების შეგროვებას მიჰყო ხელი. მათ მამალაძის დაკავებიდან ერთი თვის თავზე გადაწყვიტეს, საპატრიარქო-დან დეკანოზის პირადი დოკუმენტაცია ამოეღო.

დოკუმენტაციის ამოღების შესახებ ინფორმაცია ჟურნალისტებს საპატრიარქოს იურისტმა ედიშერ ქარჩავამ მიანოდა. მისთვის უცნობია, თუ რა საბუთები წაიღეს გამოძიებულებმა.

— პროკურატურამ საპატრიარქოდან 6 მარტს დეკანოზ გიორგი მამალაძის პირადი დოკუმენტაცია ამოიღო. რა ტიპის ინფორმაცია ამოიღეს, მე ამაზე კონკრეტულად ვერ გეტყვით. თუმცა, პროკურატურის წარმომადგენელი იმყოფებოდა ჩვენთან სასამართლო განჩინებით და მათთვის საინტერესო დოკუმენტაცია, რომელსაც კავშირი ჰქონდა მამა გიორგი მამალაძესთან, ამოიღეს, — განაცხადა ედიშერ ქარჩავამ.

## იდუმალი შორენა

მას შემდეგ, რაც ერი ციანიდის საქმის ციებ-ცხლეტამ შეიპყრო, ყველას ერთი კითხვა ჰქონდა — როდის დაკითხავდა პროკურატურა პატრიარქის მდივან-რეფერანტ შორენა თეთრუაშვილს. მამა გიორგი მამალაძის ადვოკატების მტკიცებით, მათი დაცვის ქვეშ მყოფს ბრალად სწორედ თეთრუაშვილის მონაშვლა ედებოდა.

ადვოკატების თქმითვე, მამა გიორგი მამალაძეს თავის დროზე ციანიდის შეძენა და მისი გერმანიაში ჩატანა შორენამ სთხოვა.

ამ ქალის სხვა ბრალდებებიც გაჟღერდა, მაგრამ დასაბუთება მას მხოლოდ გუშინ, 6 მარტს, უხმეს. თავიდან იყო საუბარი, რომ პატრიარქის მდივან-რეფერანტი საპატრიარქოში უნდა დაეკითხათ.

დაკავებულის ადვოკატების თქმით, პროკურატურამ თეთრუაშვილს დაზარალებულის სტატუსი მიანიჭა. მამალაძის დამცველები ამას ცინიზმად მიიჩნევენ.

ადვოკატმა გიორგი ფანცულაიამ ჟურნალისტებთან საუბარში განაცხადა, რომ შორენა თეთრუაშვილის დაზარალებულად ცნობა საქმეს კიდევ უფრო კომპლურს ხდის.

ფანცულაიასთვის გაუგებარია კიდევ ერთი დეტალი. ადვოკატს ვერ გაუგია, როგორ მოხდა, რომ პროკურატურაში დაკითხვაზე მისული შორენა თეთრუაშვილი ვერც ერთმა კამერამ ვერ დააფიქსირა.

— შესაძლოა, პატრიარქის მდივან-რეფერანტი კიდევ სხვა პრივილეგიებით სარგებლობდეს, — აღნიშნა ადვოკატმა.

შორენა თეთრუაშვილის ჩვენება მამა გიორგის საპრობოლეში გიორგი ფანცულაიამ შეუტანა. ციხიდან გამოსულმა ადვოკატმა მედიას განუცხადა, რომ ამ ჩვენების წაკითხვის შემდეგ დეკანოზი საკუთარ უდანაშაულობაში კი-



დევ უფრო დარწმუნდა.

— გაეცანო პროკურატურის მიერ ახლად გადმოცემული მტკიცებულებები, მათ შორის, შორენა თეთრუაშვილის ჩვენება. ამ მასალების გაცნობის შემდეგ დეკანოზი კიდევ უფრო მყარად გრძნობს თავს იმ გაგებით, რომ თავს მიიჩნევს უდანაშაულოდ, ვინაიდან არ არსებობს მტკიცებულება, რომელიც მის დანაშაულს ამტკიცებს.

შორენა თეთრუაშვილთან დაკავშირებით არა მარტო დაცვის, არამედ, პირველ რიგში, მამა გიორგი მამალაძის განწყობა ირონიული, რომ ის არის დღეს ბრალდებული და პატიმარი, ის ელოდება დღეს სასამართლოს და არა — დაზარალებულად ცნობილი შორენა თეთრუაშვილი, — განაცხადა გიორგი ფანცულაიამ.

## „დაკავებულ დეკანოზზე ზენოლა ხორციელდებოდა“

დეკანოზ გიორგი მამალაძის ადვოკატებმა რამდენიმე სკანდალური დეტალი გააჟღერეს. ათიოდე დღის წინ ადვოკატმა მიხეილ რამიშვილმა განაცხადა, რომ იარაღი, რომელიც მამალაძის სახლში აღმოაჩინეს, მისი დაცვის ქვეშ მყოფს არ ეკუთვნოდა.

გუშინ, 6 მარტს კი ადვოკატებმა დაასახელეს იარაღის პატრონის ვინაობა.

მათი განცხადებით, იარაღი ამ საქმეში პროკურატურის მთავარ მოწმეს, ირაკლი მამალაძეს ეკუთვნის. მიხეილ რამიშვილი ამტკიცებს, რომ მონშე მამალაძემ დეკანოზ მამალაძეს იარაღის შენახვა სთხოვა.

— ის იარაღი, რომელიც ამოიღეს დეკანოზ გიორგი მამალაძის ბინიდან, ირაკლი მამალაძეს ეკუთვნის. ძველით ახალ წელს მისულ მასთან, პრობლემა მაქვს პოლიციასთან, ამიტომ არ მინდა, სახლში მქონდეს და გთხოვ, შემიწახეო. როცა იარაღი მიუტანა, მაშინ უკვე დანაშაული იყო საქმის მოკვლევა.

როგორც ჩანს, იფიქრეს, თავი დავიზღვიოთ, საქმე გავამყაროთ მტკიცებულებით და ირაკლი მამალაძემაკ მიუტანა იარაღი. კარგად იცოდა, რომ შეუნახავდა. მამა გიორგიმ უთხრა კიდევ, თუ ეს იარაღი არაოფიციალურია, ჩააბარე პოლიციას და მოიშორეო. ცოტა ხანი იყოს შენთან და მერე წავიდეთ. სწორედ ეს იარაღი ამოიღეს მამა გიორგის ბინიდან.

პროკურატურას ნამუსი რომ ჰქონდეს, ცრუ დასმენისთვის ირაკლი მამალაძეს უნდა აგებინოს პასუხი, ამის ნაცვლად ის დაცვით დადის დღეს და უტიფრად გაიძახის, პატრიარქის მონაშვლა იგეგმებოდაო, — ამბობს მიხეილ რამიშვილი.

ამ ინფორმაციას კატეგორიულად უარყოფს პროკურატურის მთავარი მოწმე. ის ამბობს, რომ იარაღი არასდროს ჰქონია და, შესაბამისად, ვერც ვერავის მისცემდა შესანახად.

მონშის მტკიცებით, ის ძველით ახალ წელს სულ სხვა ადგილზე იმყოფებოდა.

— ძველით ახალ წელს ვიყავი შარდენის 12-ში, 15 კაცთან ერთად, ძალიან კარგი დრო გავატარე. იარაღი ცხოვრებაში არ მქონია, არც შეხება მქონია. რამიშვილი რას ამბობს, არ ვიცი. ამ თემასთან დაკავშირებით მე არ დავკითხულვარ. რას ნიშნავს, რომ იარაღი მე მეკუთვნოდა? რითი მტკიცდება, რომ მე მეკუთვნოდა, ჩემზეა გაფორმებული იარაღი? არანაირი კავშირი არ მაქვს იარაღთან.

შეუძლებელია, როგორ შეიძლება 34 წელი ცხოვრობდეს, ამდენი წელი ჟურნალისტიკაში იყო და უცებ, ამ ასაკში დადგე და მამას იარაღი მიაბარო, ხომ არსებობს რაღაც ლოგიკა? შეუძლებელია ასეთი რაღაც, — აღნიშნა მონშე მამალაძემ.

ადვოკატი მიხეილ რამიშვილი მისი დაცვის ქვეშ მყოფზე განხორციელებულ ზენოლაზეც საუბრობს. ადვოკატის თქმით, მამა გიორგიზე ზენოლას პროკურატურის პირველი პირები ახორციელებდნენ.

— ზენოლას მთავარი პროკურორის პირველი მოადგილე მამუკა ვასაძეც ახორციელებდა. როცა მამა გიორგი მიიყვანეს პროკურატურის ეზოში, დახვდა მამუკა ვასაძე, რომელმაც პირდაპირ უთხრა, რომ დაკავებული იყო პატრიარქის მონაშვლისთვის, — განაცხადა რამიშვილმა.

მედიასთან საუბარში ადვოკატი სხვა პროცესულად დარღვევებზე საუბრობს, რომლებსაც დეკანოზის დაკავების დროს ჰქონდა ადგილი.

— როდესაც განხორციელდა დეკანოზის დაკითხვა, ოქმში არაა მითითებული, ჰქონდა თუ არა სურვილი ადვოკატის აყვანის, ანუ ეს უფლებებიც დარღვეული იყო. მას ასევე არ მიეცა საშუალება, განეხორციელებინა სატელეფონო ზარი.

რაც შეეხება ზენოლას, მამა გიორგის გადმოცემით, ადვოკატის მოთხოვნამდე ანუ 13:10 საათამდე, დაახლოებით 10 კაცი იმყოფებოდა მასთან ერთად ოთახში, რომლებიც პირდაპირ ზენოლას ახდენდნენ მასზე და ეუბნებოდნენ, რომ ის დაკავებულია პატრიარქის მონაშვლისთვის. მთელი ამ ხნის განმავლობაში, როდესაც ის დაკავებული იყო, მას საშუალებაც კი არ მისცეს, რომ საპირფარეოში გასულიყო.

ბარგის ჩრეკა მოხდა 16:00 საათზე, ანუ 9 საათი და 40 წუთი მამა გიორგის ჩანთა სად იყო, დღემდე დაუდგენელია ჩვენთვის. ასევე ბრალდებული დაკითხვა წინასწარ, ვიდრე მოხდებოდა ჩანთის შემოწმება, რაც არის ნონსენსი. ერთი ინფორმაციის გარდა, მტკიცებულებები არ არსებობდა. ჩანთის ჩრეკა არ იყო ჩატარებული და ამ პირობებში დაკითხვა დეკანოზი, როდესაც მან დუმილის უფლება გამოიყენა, — განაცხადა ადვოკატმა.

გაზეთი „კვირის პალიტრა“ დაკავებული დეკანოზის, გიორგი მამალაძის ჩვენების ნაწილს აქვეყნებს.

გამოცემის მიერ გასაჯაროებულ ჩვენებაში მამა გიორგი დაკავების დეტალებს ყვება და აღნიშნავს, რომ პირებს, რომლებმაც ის აეროპორტის ავტობუსში აიყვანეს, სამოქალაქო ტანსაცმელი ეცვათ.

მიხეილ რამიშვილის თქმით, ეს არა დაკავება, არამედ ადამიანის მოტაცება იყო.

— დილის 6 საათზე მოხდა ჩემი აყვანა. იმ დილით აეროპორტში ჩემმა მძღოლმა მიმიყვანა. ჩავაბარე ბარგი. ჩანთა და ორი ყუთით საპატრიარქოს ღვინოები მიმქონდა გერმანელი ექიმებისთვის საჩუქრად.

გავიარე რეგისტრაცია და შემდეგ ფოიეში ვიჯექი, ველოდებოდი, როდის დაიწყებოდა თვითმფრინავში ჩასხდომა, გამოაცხადეს ჩასხდომა, გავედი გარეთ და ჩავჯექი ავტობუსში, რომელსაც თვითმფრინავამდე უნდა მივეყვანე.

ავტობუსში რამდენიმე ადამიანი იჯდა, ჩემთვის უცხო პირები იყვნენ, ბუნებრივია, მე ისინი მგზავრები ვერა, დავეჯექი სკამზე და უცებ დამეტაკნენ, ერთმა უკნიდან პირზე ხელი ამავარა, სახეში მომიკიდა ხელი, მერე ხელები



გამიკავეს და ხელობრივები დამადეს. უცებ ვერ მიხვდი, რა ხდებოდა, გაგიჟებული ვეკითხებოდი, რა ხდება-მეთქი. არც ერთს პოლიციელის ფორმა არ ეცვა. ასე ხელობრივად დავიყვანეს აეროპორტიდან და ჩამსვეს მანქანაში, — აღნიშნულია დეკანოზის ჩვენების მცირე ფრაგმენტში.

ადვოკატები დარწმუნებული არიან, რომ მათი დაცვის ქვეშ მყოფის უდანაშაულობა აუცილებლად დამტკიცდება.

## სინოდის სხდომა და მეუფის „ნივა“

ციანიდის საქმეზე იქნება მსჯელობა სინოდის სხდომაზეც, რომელიც 9 მარტს გაიმართება. სინოდის სხდომამდე სასულიერო პირები განცხადებების გაკეთებას ერიდებიან.

გავრცელებული ინფორმაციით, სხდომაზე, შესაძლოა, მეუფე პეტრეს საკითხიც იქნას განხილული. მეუფე პეტრე საპატრიარქოში არსებულ დარღვევებზე ლიად საუბრობს.

მისი განცხადებები, სასულიერო პირების გარდა, სამოქალაქო სექტორსაც აღიზიანებს. რამდენიმე პიროვნებამ ოფიციალურად მოითხოვა მიტროპოლიტის განკვეთა.

ჟჟონდიდელი მიტროპოლიტის განცხადებამ, ეტყობა, ყველაზე მეტად აბაშის გამგეობა გააბრაზა. მათ მეუფე პეტრეს ნაჩუქარი „ნივა“ უკან გამოართვეს.

პირველი რადიოს ცნობით, აბაშის გამგეობამ ჟჟონდიდის ეპარქიას, რომელიც აბაშისა და მარტვილის მუნიციპალიტეტებს მოიცავს და რომელსაც მიტროპოლიტი პეტრე ხელმძღვანელობს, 2012 წელს გადაცემული „ნივა“ ჩამოართვეს.

გამგებლის, მამუკა კვიტაშვილის განცხადებით, ავტომობილის ჩამორთმევა ხელშეკრულების ვადის ამოწურვას უკავშირდება და არა-ერთი კავშირი არ აქვს მიტროპოლიტ პეტრე ცაავას მიერ ბოლო პერიოდში გაკეთებულ მხაურთან განცხადებებთან.

— აბაშის გამგეობამ წლების წინ გადასცა „ნივა“ საჩუქრად აბაშის და მარტვილის ეპარქიას გამოსაყენებლად, თუმცა ავტომობილი სახელმწიფო ბალანსზე იყო. 5 თებერვალს გაუვიდა ხელშეკრულებას ვადა. მოხდება შეფასება და, სავარაუდოდ, ისევ დაუბრუნდება უკან ეპარქიას ავტომობილი. საუბარია 2007 წელს გამოშვებულ ავტომობილ „ნივაზე“.

პეტრე ცაავას განცხადებებს არანაირად არ უკავშირდება. ხელშეკრულება სახეზეა. 2012 წლის 5 თებერვალს 5-წლიანი ხელშეკრულება გაფორმდა და ამ ვადის ამოწურვის გამო მოხდა ავტომობილის უკან დაბრუნება, — განაცხადა მამუკა კვიტაშვილმა.

მსგავსი ინციდენტი 2012 წელს ალავერდის ეპარქიაში დაფიქსირდა. ადგილობრივმა, ჯერ კიდევ ნაციონალურმა, ხელისუფლებამ ალავერდის მონასტერს ნაჩუქარი ტრაპიკორი ბიძინა ივანიშვილისთვის გაწეული მასპინძლობისთვის წაართვა.

ახალი  
თაობა

გაზეთი  
გამოდის  
1993 წლის  
23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოხო გოგინაშვილი  
მთავარი რედაქტორი — სოხო გოგინაშვილი  
რედაქტორი — ლალი ასლანიშვილი  
რედაქტორის მოადგილე — შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები  
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი  
საფინანსო სამსახური — კლარა ბალაგაძე

დაკაბდონება — ინგა დვალისიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქიქაშვილი

სარეკლამო სამსახური — 2-94-02-55  
გაფრცხვლების სამსახური — მერაბ ლევინაშვილი  
დირექტორი — ზურაბ ბერიძე

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.  
ტელეფონი/ფაქსი 2-94-06-91

ვებ-გვერდი www.atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეგენსირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.



# „პრაიმერობისთვის ირაკლი რუხაძეს აფხალებს, თბილისის მერობისთვის — მამუკა ხაზარაძეს“ „ევროპული საქართველოს“ ლიდერად შესაძლოა მარგველაშვილი ვიხილოთ“



შორენა მარსაგიშვილი

ვინ და რაზე უთანხმდება „ევროპულ საქართველოს“, რა ცვლილებები იგეგმება მთავრობაში, ვის თამაშს თამაშობს მარგველაშვილი, რატომ უნდა გადადგეს თუა წულუკიანი? — ამ თემაზე „ახალ თაობას“ პატრიოტთა ალიანსის ერთ-ერთი ლიდერი ლადო სადღობელაშვილი ესაუბრება.

**ლადო სადღობელაშვილი:**

— რამდენიმე თვის წინ „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ვთქვე, რომ სადღაც მაისის თვისთვის ვანო მერაბიშვილი უკვე თავისუფალი იქნებოდა. საქმე ისე მიდის, ყოფილი შს მინისტრი, შესაძლოა, უფრო ადრე გამოვიდეს ციხიდან. ყველაზე მთავარი ისაა, რომ ის ციხიდან, როგორც გმირი, ისე გამოვა. 6 მარტს მასთან ციხეში საუბრედი მიიძღვნა ბოკერია. ჩემი აზრით, ის ციხეში ვანო მერაბიშვილის „დასაკერად“ მივიდა.

**— ბოკერია რაზე უნდა „დაკეროს“ მერაბიშვილი?**

— გავრცელებული ინფორმაციით, ის ციხიდან გამოსვლის შემდეგ პოლიტიკიდან აპირებს წასვლას. ბოკერია ცდილობს, მერაბიშვილი პოლიტიკაში დარჩეს და ნაციონალებისგან გამიჯნულ „ევროპულ საქართველოსთან“ ითანამშრომლოს. ეს იმ დიდი გეგმის ნაწილია, რასაც ნაციონალების ჩაძირვა ჰქვია სახელად. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ საქართვე-

— ამ უნიათო ხელისუფლების პირობებში არაფერი აღარ გამიკვირდება. თან მეექვსეა, ამათ ახლა რუსთავი 2-სთვის ეცალათ. ჩემს ხელთ არსებული ინფორმაციით, აქტიურად მიმდინარეობს გიორგი კვირიკაშვილის შემცვლელის ძებნა. აქამდე ვრცელდებოდა ინფორმაცია, რომ პრემიერის პოსტს ან დიმიტრი ქუმსიშვილი დაიკავებდა, ან გიორგი გაბა-რია. ახლა „ოცნებასთან“ ძალიან დაახლოებულია წყარომ მომანოდა ინფორმაცია, რომ მთავრობის მეთაურის პოსტზე ირაკლი რუხაძის კანდიდატურა განიხილება.

„ქართულ ოცნებაში“ ასევე აქტიურად მიდის თბილისის მერობის კანდიდატურის შერჩევა. ამ პოსტზეც რამდენიმე კანდიდატურა განიხილებოდა. საქმეს ისეთი პირი უჩანდა, რომ კახა კალაძეს ალტერნატივა არ ჰყავდა, მაგრამ საბოლოოდ არჩევანი მამუკა ხაზარაძეზე შეჩერდა. უნიათო ხელისუფლების ცვალებადი ხასიათიდან გამომდინარე, ეს გადაწყვეტილებაც შეიძლება შეიცვალოს, მაგრამ ამ ეტაპზე მერობის კანდიდატად საზარად განიხილება.

**— რუხაძე პრემიერის პოსტზე მაშინაც განიხილებოდა, როცა ამ თანამდებობას ივანიშვილი ტოვებდა. რამდენად რეალურია მისი გაპრემიერება, ეს ადამიანი პოლიტიკაში არასდროს არ ყოფილა.**

— ირაკლი რუხაძე პატარაკაციშვილების ოჯახთან არის დაახლოებული და საზოგადოება მას აქედან იცნობს. ის არასდროს ყოფილა არც პარლამენტის წევრი და არც მთავრობაში უმუშაო. აქედან გამომდინარე პოლიტიკაში მისი შემოყვანა იოლი არ უნდა იყოს. ჩვენი ხელისუფლების პირობებში კი შეუძლებელი არაფერია.

გაგასხენებთ ახლო წარსულს — გიორგი მარგველაშვილი არსაიდან ჯერ განათლების მინისტრი გახდა, ხოლო შემდეგ — პრეზიდენტი. იგივე შემოიღო ვთქვა გიორგი კვირიკაშვილზეც, რომელიც არაფრიდან ჯერ მინისტრი გახდა, მერე — პრემიერი. მოკლედ რომ ვთქვათ, ამ ქვეყანაში ყველაფერი მოსულა და არც რუხაძის გაპრემიერება იქნება ივანიშვილისთვის პრობლემა.

დღევანდელი ხელისუფლება ძალიან ღრმა კრიზისშია შესული და ის მოკრივის „გრუშას“ არის დამსგავსებული — ვისაც არ ეზარება, ყველა მაგას ურტყამს. მათ შორის არიან ხელისუფლების შიგნით მყოფი სხვადასხვა დაჯგუფებები და დასავლელი პარტნიორები. ამიტომაც არის ქვეყანა „დატორმუხებული“ და მისი განვითარება აღარ ხდება.

„დატორმუხებაზე“ სტრასბურის სასამართლოს 3 მარტის გადაწყვეტილება გამასხნდა, რომელმაც უზენაესის გადაწყვეტილების აღსრულება შეაჩერა. ამით ევროსასამართლომ წულუკიანს ყურებში ძალიან დიდი ნაკიბურტი ჩაარტყა. ნების, თუა წულუკიანი თანამდებობიდან უკვე უნდა გადადგარიყო. მართლა ვერ ვხვდებით, ეს ქალი როგორ ჩერდება იუსტიციის მინისტრის თანამდებობაზე, როცა, სადაცაა, ვანო მერაბიშვილი გარეთ გამოვა.

**— წულუკიანმა რა უნდა გააკეთოს ამ შემთხვევაში?**

ლოს პრეზიდენტიც ამ გეგმაში მონაწილეობს.

5 მარტს გადაცემა „იმედის დროში“ საუბრისას გიორგი მარგველაშვილმა „ქართული ოცნება“ ნაცებთან კოალიტაციაში დაადანაშაულა. ამის გარდა, განაცხადა, არაკომპეტენტური პარლამენტის სპიკერი გეყავსო. ამ კაცს რომ ვუსმენდი, ისეთი შთაბეჭდილება დამრჩა, რომ ის უფრო კაი ტიპია, ვიდრე მთელი „ქართული ოცნება“ ერთად აღებული.

რატომ დამრჩა ასეთი შთაბეჭდილება, ვერ გეტყვით, მაგრამ შთაბეჭდილების მიღმა ძალიან შორსმომავალი გეგმებს ვხედავ, რომლებიც რუსთავი 2-ს და ნაციონალებისგან გამოყოფილ „ევროპულ საქართველოს“ უკავშირდება. არ გამოვრიცხავ, რომ ახლო მომავალში სწორედ მარგველაშვილი ვიხილოთ „ევროპული საქართველოს“ ლიდერად.

**— „ევროპულ საქართველოში“ ისედაც ბევრი ლიდერია და რატომ უნდა აირჩიონ თავიანთ ლიდერად მარგველაშვილი?**

— ბოლო დროს მარგველაშვილის მიერ გაკეთებული განცხადებები ამაზე მიუთითებს. სხვების არ ვიცი, მაგრამ რუსთავი 2-თან დაკავშირებით მის მიერ გაკეთებულმა განცხადებამ ბევრი კითხვა გამიჩინა. მან განაცხადა, რომ რუსთავი 2-ს ფულად დამხარებას პრეზიდენტის ფონდიდან გაუწევს, რაც, ჩემი აზრით, კანონდარღვევაა.

პრეზიდენტის ფონდში მარგველაშვილს ფული აქვს ბიუჯეტიდან. მაინტერესებს, რა უფლებით სთავაზობს ის სახელმწიფოს ფულს კერძო ტელევიზიას. იქნებ არხის ნაციონალიზაციას ახდენენ და მაღალენ? მგონია, რომ ეს განცხადება პოპულიზმის დონეზე გაკეთდა, მაგრამ თუ მართლაც მოხდა ასეთი რამე, მაშინ პრეზიდენტის წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმე უნდა აღიძვრას.

ხელისუფლება ამაზე რეაგირებს თუ არ მოახდენს, მაშინ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსთავი 2 გადავიდა სახელმწიფო დოქტრინაზე. გამოდის, რომ ეს არხი სახელმწიფოს ხელში გადავა და არა ქიბარ ხალვაშის, ვის სახარგებლოდ უზენაესმა სასამართლომ გადაწყვეტილება გამოიტანა.

**— ასეთი რამე რამდენად წარმოგიდგენიათ?****ლადო სადღობელაშვილი: „ბოკერია მერაბიშვილის „დაკერვას“ ცდილობს“**

— უნდა იმუშაოს. რუსთავი 2-ის ორმა იურიტმა, პატარა გოგომ და პატარა ბიჭმა, მთელ სახელმწიფო მანქანას ალიყურები ურტყა. ეს ადვოკატები არიან პროფესიონალები. კეთილი იხებოს ხელისუფლებამ და თანამდებობებზე პროფესიონალები დასაქმდეს.

**— მოდი, ისევ ვანო მერაბიშვილის შესაძლო გათავისუფლებაზე ვისაუბროთ. რა რეაქცია ექნება ხალხს, თუ ის ციხიდან გამოიდა?**

— აქ არავითარ თუ-ზე აღარ არის საუბარი, ყოფილი შს მინისტრის გამოსვლა გარდაუვალია. თავშიც გითხარით, ბოკერია ისე საუბრედ მიიძღვნა მერაბიშვილთან, რომ ეს გარდაუვალია. სავარაუდოდ, ყველაფერი უკვე შეთანხმებულია.

**— ვისთან ან რა არის შეთანხმებული?**

— მერაბიშვილის გათავისუფლება დასავლეთთან არის შეთანხმებული. რამდენიმე თვის წინ „ოცნებამ“ უგულავას გათავისუფლებით გაუგორა დასავლეთის კოჭი, მორიგი კოჭი ვანო იქნება.

**— ამ ლოგიკით შემდეგი კოჭი ბაჩო ახალაია უნდა იყოს.**

— არა, ახალაიას არავინ თვლის პოლიტპატიმრად. მას ნაციონალებიც კი აღარ ახსენებენ. ეტყობა, გადაწყვეტეს, რომ მაგას შეანძინდონ ხელები. არადა, მერაბიშვილს მასზე არანაკლებ ცუდი საქმეები აქვს ჩადენილი. ვინმეს თუ აღარ ახსოვს, მინდა შევასხენო, რომ სწორედ ეს ადამიანია სისხლიანი 7 ნოემბრის და 26 მაისის ხოცვა-ჟლეტის მთავარი შემოქმედი.

**— ხელისუფლება როგორ გაიმართლებს ამ შემთხვევაში თავს?**

— ისინი თავის მართლებას არც აპირებენ. უკვე ნათელია, რომ ისინი ყოფილ ხელისუფლებასთან არიან გარიგებული და ერთობლივად მოქმედებენ.

**— ყოფილი ხელისუფლება ორ ნაწილად არის გაყოფილი და რომელ ფლანგთან არიან გარიგებული?**

— ორივე ფლანგთან არის გარიგება, მაგრამ „ევროპულ საქართველოს“ უფრო სწავლობ-

ბენ. მიშისტ ნაციონალებთან ერთად ძოვა ცოტა უჭირთ.

**— რა რეაქცია ექნება ხალხს მერაბიშვილის გამოსვლაზე?**

— ხალხი ისეთ შოკშია, რომ მეექვსეა, რამეზე კიდევ ჰქონდეს რეაქცია. მარტო გირგვლიანის მამამ მოახდინა ამაზე რეაგირება და სტრასბურში გააგზავნა წერილი, სადაც წერს, რომ დღის წესრიგში მისი შვილის მკვლელობის გათავისუფლება დგება. საზოგადოების დანარჩენი ნაწილი ამ ამბავს ჩვეულებრივად ხედავს.

მერაბიშვილზე როცა ვსაუბრობ, სულ ბიძინა ივანიშვილის სიტყვები მახსენდება. ის ამ ადამიანს სულ დადებითად მოიხსენიებდა და კარგ მინისტრსა და კარგ მენეჯერს უწოდებდა.

გავა ცოტა ხანი და აგერ ნახავთ, თუ ზურაბ ადგიშვილიც არ დააბრუნონ საქართველოში. ყოფილ პრემიერს ისიც ძალიან ესიმათიურება და ამის შესახებ არაერთი საჯარო განცხადება აქვს გაკეთებული.

**— გამოდის, რომ სააკაშვილიც შეიძლება „გააპრავონ“ და დააბრუნონ.**

— ამათგან არც ესაა გასაკვირი, თუმცა, არა მგონია, ეს მოხდეს. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ივანიშვილს მარტო ამ კაცის ჯინი სჭირდა და ჩამოაშორა თუ არა მას თავისი



პარტია, ნაციონალების დიდი „გაპრავება“ დაინყო. არც ის გამორიცხოთ, ერთ მშვენიერ დღეს ნაციონალები ხელისუფლებაში რომ დაბრუნდნენ.

დღეს ქვეყანაში შექმნილი ვითარება ძალიან მაგონებს 2010-2011 წლების პერიოდს, როცა სააკაშვილმა ყველა ოპოზიციური ძალა ფაქტიურად გაანადგურა. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ ის დიდი ხანი დარჩებოდა ქვეყანაში, მაგრამ 2011 წელს პოლიტიკაში ივანიშვილის მოსვლით ყველაფერი შეიცვალა. რატომღაც მგონია, რომ ახლაც რამე გაუთვალისწინებელი მოხდება, რაც ქოცების და ნაცების სიამტკბილობას დაასრულებს.

## „სასკოლო ექსკურსია მხოლოდ სანთლის ანთებითა და ბარკლის გაჯიჯვით არ უნდა შემოიფარგლებოდეს“



დება ექსკურსიები, იქნება ეს მუზეუმში თუ სხვა ორგანიზაციაში. ვაპირებთ, რომ ხელი შევუწყოთ პედაგოგებს და გადავიხდით ფულს კონკრეტულად მასწავლებლის აქტივობაში და არა „ბარკლების“ ნაწილში, ასევე გვექნება მასპინძელი ორგანიზაციების კატალოგი, რომელსაც წინასწარ მომზადებული გარემო ექნება ბავშვებისთვის.

წელს უკვე 100 ორგანიზაცია იქნება ამ კატალოგში. სკოლების წარმომადგენლებს შეეძლებათ დაურეკონ, რომ კლასი მიჰყავთ და ისინი ყველანაირად ხელს შეუწყობენ. იუსტიციაც ძალიან მონდომებულია ამ მიმართულებით, ასევე მუზეუმები, თეატრები, სპორტული დაწესებულებები. ვფიქრობ, წელს თუ 100 ობიექტი გვექნება, მომავალ წელს შეიძლება 1.000-ც იყოს.

ბირეგული რადიო

— სასკოლო ექსკურსია მხოლოდ სანთლის ანთებითა და ბარკლის გაჯიჯვით არ უნდა შემოიფარგლებოდეს. ეს განცხადება განათლების მინისტრმა ალექსანდრე ჯეჯელავამ გააკეთა.

მინისტრის განმარტებით, განათლების სამინისტრო საექსკურსიო ობიექტების კატალოგის შექმნაზე მუშაობს, სადაც პირველ ეტაპზე 100 ორგანიზაცია იქნება განთავსებული.

კატალოგის მიხედვით, სკოლებს საშუალება ექნებათ, დაუკავშირდნენ სხვადასხვა ორგანიზაციას და იქ ექსკურსია-გაკვეთილი დაგეგმონ.

**ალექსანდრე ჯეჯელავა:**

— ჩვენი მიზანია ექსკურსია შინაარსით, რომელიც მხოლოდ სანთლის ანთებითა და ბარკლის გაჯიჯვით არ

შემოიფარგლება. ეს გულისხმობს გაკვეთილსაც და გართობასაც. ჩვენ ვმუშაობთ ექსკურსიების პროგრამაზე. თავისუფალი გაკვეთილების ინიციატივის ნაწილი გახსნა. ჩვენ ვმუშაობთ თუ სხვა ორგანიზაციაში.

### საპატრულო-სარეაბილიტაციო მასაჟი

ერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩველ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისკოზანია, ჰერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმალ-ლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალაქი თბილისი





# ზვიად ქორიძე: „პრემიერი რიხიდან გაშოსვლაზე ფიქრობს“

„არ ვარ დარწმუნებული, რომ კვირიკაშვილის ინიციატივა არსებულ ვითარებას აკმაყოფილებდეს“



ნათია სურცილავა

შენწყალბების კომისიის თავმჯდომარე, ყურნალისტი ზვიად ქორიძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში პრემიერ-მინისტრ გიორგი კვირიკაშვილის მიერ არასამთავრობო სექტორთან გამართულ შეხვედრაზე საუბრობს.

– **ბატონო ზვიად, პრემიერ-მინისტრის ახალი იდეას როგორ აფასებთ, რომელიც მედიაომბუდსმენის ინსტიტუტის შექმნასა და მსოფლიოში ყველაზე მაღალი რეპუტაციის მქონე მედიის უფლებადამცველების მონაწილეობაზე?**

– რატომ გაუჩნდა პრემიერს მოსაზრება, რომ რამე ტიპის ინსტიტუტია შექმნას, რომელიც დღეს საჭირო არის სიტუაციის განსამუხტავად? მე ვფიქრობ, იმიტომ გაუჩნდა, რომ პრემიერი გარბოდა, რომ სწორედ ახლა არის საკმაოდ ჩიხური სიტუაცია და აქედან გამოსავალი უნდა გამოიძებნოს.

საქართველოს სასამართლო სისტემამ ბევრ კითხვას პასუხი ვერ გასცა. სამწუხაროდ, ჩვენმა სასამართლო სისტემამ ვერ შეძლო ისეთი პრეცედენტის შექმნა, რომელიც არც გამოხატვის თავისუფლებასა და არც საკუთრების უფლებას არ გახდოდა სადავოს, დემოკრატიულ წესრიგს არ დაზიანებდა. საკუთრების უფლება, რასაკვირველია, უნდა აღდგეს, მაგრამ საკუთრების უფლების აღდგენა არ გამოიწვევს გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვას თუ ყველა არსებულ კითხვაზე პასუხი გაცემული იქნება.


– **რა კითხვებს გულისხმობთ?**

– ფუნდამენტური კითხვა ასეთია: როგორ ასაბუთებს სასამართლო, რომ ქიბარ ხალვაშს, რომელიც აცხადებს, რომ საკუთრება წაართვის, რეალურად ეს საკუთრება ეკუთვნის?! ანუ რამდენად ეკუთვნის ხალვაშს ეს საკუთრება?! რამდენად ლეგიტიმურად მოიპოვა მან ეს საკუთრება?! სწორედ ეს არის ფუნდამენტური საკითხი და მხარეებს სწორედ ამაზე უნდა ედავებოდნენ.

– **სტრასბურის გადაწყვეტილება რა გავლენას იქონიებს პროცესზე?**

– სტრასბურში მხოლოდ უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება არის შეჩერებული, მაგრამ მოსალოდნელია, რომ 8 მარტიდან ანუ იმ თარიღიდან, რომელიც დათქვა სტრასბურის სასამართლოს, იმ სარჩელის არსებით განხილვას დაიწყებს, რომელიც რუსთავი 2-მა შეიტანა.

აქ უკვე რუსთავი 2 იქნება მოსარჩელე და მოპასუხე იქნება არა ქიბარ ხალვაში, არამედ საქართველოს მთავრობა, რომელმაც უნდა დაიცვას საქართველოს სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.



რამდენად სამართლიანი იყო სასამართლო და ისარგებლა თუ არა სამართლიანი სასამართლოს უფლებით რუსთავი 2-მა ამ ქვეყანაში? ეს ძალიან რთული პრობლემაა, უფრო რთული პრობლემა, ვიდრე რეალურად წარმოგვიდგენია.

იმ ორ უფლებას, რომელიც თითქმის კოლიზიაში შევიდა ერთმანეთთან, გულისხმობს საკუთრების უფლებასა და გამოხატვის თავისუფლებას, დაემატა მესამე – სამართლიანი სასამართლოს უფლება, რომელიც ამ ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს გვაქვს.

ეს ჩიხური ვითარება გვაქვს ახლა და, ბუნებრივია, რომ პრემიერ-მინისტრი ფიქრობს, რა შეიძლება იყოს გამოსავალი, რადგან ცხადია, რომ ეს ჩიხური ვითარება არ გაჩერდება ჩიხში და ის აუცილებლად გამოიხატება სხვა ფორმის პოლიტიკური კრიზისის ნიშნით. პოლიტიკურ კრიზისზე კი პასუხისმგებელი მთავრობაა.

– **ამ ფონზე პრემიერის შეთავაზება რამდენად ადეკვატურია?**

– შეხვედრაზე პრემიერ-მინისტრი პროაქტიური იყო, მაგრამ ის გადაწყვეტილება, რომელიც მან შესთავაზა, არ ვარ დარწმუნებული, რომ ბოლომდე აკმაყოფილებდეს იმ მოთხოვნებს, რომლებიც ვითარებამ შექმნა. ჩემი აზრით, დღეს აბსოლუტურად სხვა ქმედება არის საჭირო იმისთვის, რომ ერთი მხრივ მთავრობა ადეკვატურად იყოს წარმოდგენილი ევროპის სასამართლოზე და მეორე მხრივ, სასამართლოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება გაიზიაროს.

მე ჩემი შემოთავაზება გავუზიარე პრემიერს, რომ ის განწყობები, რომლებიც საზოგადოებაში და პოლიტიკურ სპექტრშია სტრასბურის სასამართლოს მიმართ, ძალიან სახიფათოა.

– **რას გულისხმობთ?**

– გულისხმობს იმ განწყობებს, რომლებმაც დღეს თავი იჩინა: ვინ ეკითხება ევროპის სასამართლოს, რა მათი საქმეა, სად იყვნენ 2007 წლის 7 ნოემბერს, როდესაც „იმედს“ არბევდნენ?!

ასეთი არარეგულარული მოსაზრებები ქვეყანაში ანტიევროპულ განწყობებს ქმნის, რაც ძალიან სახიფათოა. მთავრობას ესეც ეწერება პასივში და ამიტომ ხელისუფლება ამ მიმართულებითაც უნდა იყოს პროაქტიური.

– **რატომ გააკეთა აქცენტი პრემიერმა უცხოელ მაღალი დონის მედიაომბუდსმენზე, ის არ ეხდოდა ადგილობრივ ექსპერტებს?**

– ეს მისი და მთავრობის ნებაა. რა თქმა უნდა, როდესაც დღეს პრემიერი აქცენტს ევროპულ, მსოფლიოში აღიარებულ მედია სპეციალისტებსა და ჟურნალისტებზე აკეთებს, ის ამით ცდილობს, რომ მათი რეპუტაციის მეშვეობით ალინეროს ქვეყანაში სიტყვისა და გამოხატვის გარეშე, რათა ეს ინფორმაცია უფრო ხელმისაწვდომი და დამაჯერებელი იყოს საერთაშორისო აუდიტორიისთვის.

ამ ინსტიტუტის შექმნით, პრემიერი დასავლეთს უფრო ელაპარაკება, ვიდრე საკუთარ აუდიტორიას. პრობლემა კი ქვეყნის შიგნით არის და მის მოგვარებას ზედმეტი მედიაომბუდსმენი არ სჭირდება. არ შეიძლება ეჭვი შეიტანო, მაგალითად, სახალხო დამცველის მიუკერძოებლობა და რეპუტაციის დაზიანება, როდესაც ის გამოდის და განცხადებას აკეთებს გამოხატვის თავისუფლების ან სასამართლოს სამართლიანობის საკითხზე.

– **ფიქრობთ, რომ, მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტისთვის, უფრო ავტორიტეტული იქნება ბი-ბი-სის ლეანდროსილი ჟურნალისტის მიერ დადებული კვლევა?**

– საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველი იყო თომას ჰამერბერგი, რომელმაც ძალიან საინტერესო დასკვნა დადო ადამიანის უფლებების მდგომარეობის შესახებ საქართველოში. ეს დასკვნა წაიკითხეს ყველგან, სამწუხაროდ, არ წაიკითხეს საქართველოში.

ის რისკები, რაზეც ბატონი ჰამერბერგი თავის ანგარიშში წერდა, მთავრობას რომ გაეთვალისწინებინა, ძალიან ბევრი რისკი არ გაჩნდებოდა, მაგალითად, ეთნიკურ უმცირესობებთან, განსაკუთრებით რელიგიურ უმცირესობებთან, შრომის უფლებებთან დაკავშირებით და ა.შ.

ამ ანგარიშში ასევე იყო მინიშნება მედია-სივრცეში კონცენტრაციის პრობლემის გაჩენასთან დაკავშირებით, რადგან დინამიკა უკვე შეინიშნებოდა. დღეს ტელეკომპანია „იმედი“, ტელე-



კომპანია „მაცხოვარი“, ტელეკომპანია „ჯიდიესი“ პრაქტიკულად ერთი პოლიტიკური ასევე, საზოგადოებრივ მაუწყებელზე პოლიტიკურად აფილირებული მენეჯმენტი მივიდა. ეს მთლიანობაში პრობლემაა.

– **პრემიერის განწყობა როგორი იყო, რომ რუსთავი 2-ის საქმე არის დავა ვერძო საკუთრებაზე თუ საფრთხე შეეხო მედიაპლურალიზმს?**

– პრემიერი ამბობს, რომ ორივე საკითხი ჩვენთვის ძვირფასია, საკუთრების უფლების დაცვა და გამოხატვის თავისუფლებაც, რაზეც ყველა ვთანხმდებით, მაგრამ თუ საკუთრების უფლების აღდგენა ხდება, მაშინ ასეთმა ფუნდამენტურმა უფლებამ როგორ შეიძლება დაზარალოს მეორე ფუნდამენტური უფლება – გამოხატვის თავისუფლება. თუ ეს ტელეკომპანია ცალსახად, ყველა დოკუმენტით ეკუთვნის ქიბარ ხალვაშს, მაშინ ეს ტელეკომპანია უნდა მიიღოს ქიბარ ხალვაშმა, მაგრამ თუ სასამართლო არ სთხოვს, საზოგადოებას წარუდგინოს დოკუმენტი ქიბარ ხალვაშმა, ვისგან იყიდა ეს ტელეკომპანია?

– **ამ საკითხებზე ასე კონკრეტულად იყო პრემიერთან საუბარი?**

– რა თქმა უნდა, მე დავსვი ეს კითხვები. კვითხე პრემიერს, თუ იცოდა, ვისგან იყიდა რუსთავი 2 ქიბარ ხალვაშმა. მითხრა, ეს სასამართლომ გაარკვიოსო. სამწუხაროდ, როგორც ჩანს, სასამართლოს ამ საკითხებზე არ უმსჯელია, ამიტომაც შეაჩერა მისი გადაწყვეტილების აღსრულება სტრასბურის სასამართლომ.

## ალექსანდრა ჯეჯელავა: „მედიათაჟისუფლებას საქართველოში საფრთხე არ ემუქრება“

– თუ საერთაშორისო საზოგადოება, ევროპელი ექსპერტები, ავტორიტეტები ჩაერთვებიან და ადგილზე გააანალიზებენ დეტალურად მედიაში არსებულ მდგომარეობას, ყველა ნუხილს და ყველა საკითხს პასუხი გაცემება.

ამის შესახებ განათლებიასა და მედიერების მინისტრმა, ვიცე-პრემიერმა ალექსანდრა ჯეჯელავამ განაცხადა.

მისი თქმით, პრემიერ-მინისტრის ინიციატივით, შედგა საინტერესო და მნიშვნელოვანი შეხვედრა, რომელსაც ესწრებოდნენ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც აქტიურად არიან ჩართული მედიის თავისუფლებისა და მედიის საკითხებში.

– ინიციატივა იყო გამიზნული იმისკენ, რომ შეიქმნას პლატფორმა. მოგეხსენებათ, ერთ-ერთი კომპონენტი არის გამჭვირვალე მმართველობა და მის ფარგლებში, პრემიერს უნდა, რომ მეტი საზოგადოებრივი ჯგუფი იყოს ჩართული მმართველობის პროცესში.

მე მგონი, ახლა კარგი შემთხვევა და შესაძლებლობა გვაქვს, რომ კონკრეტულად მედიათავისუფლების თემაზე ვისარგებლოთ ამ ინიციატივით.

ინიციატივა შეეხება შემდეგს: გავრცელებული ინფორმაცია იმის შესახებ, რომ მედიათავისუფლებას საქართველოში რაიმე საფრთხე ემუქრება,



ბა, ჩვენი აზრით, არ შეესაბამება სამართლებს, არის არასრულ ანალიზზე დაფუძნებული, ამიტომ ჩვენ ვფიქრობთ, რომ თუ საერთაშორისო საზოგადოება, ევროპელი ექსპერტები, ავტორიტეტები ჩაერთვებიან და ადგილზე გააანალიზებენ დეტალურად მედიაში არსებულ მდგომარეობას, სტანდარტებსა და პროცესების მიმდინარეობას, ყველა ნუხილს, მათ შორის, იმ ნუხილს, რომელზე დაფუძნებითაც სტრასბურის სასამართლომ მიიღო შემაჩერებელი გადაწყვეტილება და სხვა ყველა საკითხს, პასუხი გაცემება.

შესაბამისად, ჩვენს ევროპელ მეგობრებს, ვის მოსაზრებებსაც ჩვენ დიდ პატივს ვცემთ და ანგარიშს ვუწევთ, ასეთი ნუხილი არ ექნება, – განაცხადა ჯეჯელავამ.

კითხვაზე, თუ საფრთხე არ არ-

სებობს, ვისგან უნდა დაიცვას მედია აღნიშნულმა ინსტიტუტმა, ჯეჯელავას თქმით, კი არ უნდა დაიცვას მედიაომბუდსმენმა, არამედ უნდა იყოს პლატფორმა, ისევე, როგორც ომბუდსმენის ინსტიტუტი საერთოდ, იმისთვის, რომ ალტერნატიული აზრი იქნას გაგონილი საზოგადოების მიერ.

– შესაბამისად, უნდა დაიცვას შესაძლო საფრთხეებისგან. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დღეს ასეთი საფრთხეები არ არსებობს, თუმცა გვინდა, რომ ამაში დარწმუნდნენ ჩვენი ევროპელი პარტნიორები და კოლეგები, – განაცხადა ჯეჯელავამ.

რაც შეეხება მედიაომბუდსმენის კანდიდატურას, ჯეჯელავას თქმით, ცნობილია კრიტერიუმები, კერძოდ, ის უნდა იყოს ევროპელი და უნდა იყოს უდავოდ ავტორიტეტი მედიის უფლებების დაცვაში.

რაც შეეხება ოპონენტების კრიტიკას, რომ როცა ხელისუფლება არ ითვალისწინებს სახალხო დამცველის, უნა ნაწუაშვილის გარკვეულ რეკომენდაციებს, შესაძლოა, არც მედიაომბუდსმენის რეკომენდაციები გაითვალისწინოს, ალექსანდრა ჯეჯელავა მიიჩნევს, რომ უნა ნაწუაშვილის „ადეკვატურ რეკომენდაციებს“ ხელისუფლება ითვალისწინებს.

– შესაბამისად, გვგონია, რომ ამ შემთხვევაშიც კონსტრუქციული და ადეკვატური კრიტიკა იქნება მიღებული და გაზიარებული, – განაცხადა ჯეჯელავამ.

ინტერპრესიუსი

## თამარ ჩუბოშვილი: „მზად ვართ, მედიაომბუდსმენად მსოფლიო დონის აქსეპტაბი მოვიწვიოთ“

– ჩვენ მზად ვართ მოვიწვიოთ ძალიან რეიტინგული მსოფლიო დონის ექსპერტები, როგორც მედიაომბუდსმენი საქართველოში.

ამის შესახებ პარლამენტის პირველმა ვიცე-სპიკერმა თამარ ჩუბოშვილმა ჟურნალისტებს პრემიერის ინიციატივის კომენტარებისას განუცხადა, რომელიც მედიაომბუდსმენის ინსტიტუტის შექმნას გულისხმობს.

– ჩვენ გვქონდა შესაძლებლობა განგვეხილა როგორც ის კონკრეტული სამართლებრივი დავა, რომელიც ახლა ევროპულ სასამართლოშია, ასევე ზოგადად მედიაგარემო საქართველოში და მედიაპლურალიზმი, ყველასთვის კარგად არის ცნობილი, რომ ჩვენთვის მედიის თავისუფლება და ზოგადად გამოხატვის თავისუფლება არის მნიშვნელოვანი ღირებულება. ეს უფლება ბევრად უკეთესად არის უზრუნველყოფილი და დაცული ქვეყანაში, ვიდრე მანამდე, ოდესმე ყოფილა.

ჩვენ მიმართული ვართ იმისკენ, რომ ეს ასეც გაგრძელდეს, უზრუნველყოფილი იყოს პლურალიზმი.

ის ინიციატივა, რომელიც პრემიერმა წამოაყენა, ემსახურება მხოლოდ იმას, რომ ამ კუთხით მსარდატერა და დახმარება გვქონდეს და თუ რაიმე კითხვები შეიძლება იყოს და გაჩნდეს, ამ კითხვებზე არსებობდეს პასუხის გაცემის მაღალი მედიტიმიცია და მაღალი დონის მქონე ორგანო. ჩვენ მზად ვართ, მოვიწვიოთ ძალიან რეიტინგული მსოფლიო დონის ექსპერტები, როგორც მედიაომბუდსმენი საქართველოში, – განაცხადა თამარ ჩუბოშვილმა.

– თუ ვინმეს აქვს რაიმე მოსაზრება, რომ მეტი ნაბიჯებია გადასადგმელი ხელისუფლების მხრიდან იმისთვის, რომ სიტყვის თავისუფლება არათუ შეზღუდოს, როგორც წინა ხელისუფლების პირობებში იზღუდებოდა, ამ წინადადების მისაღებად ჩვენ აბსოლუტურად გასწილი ვართ, – განაცხადა თამარ ჩუბოშვილმა.

რატომ დადგა დღის წესრიგში მედიაომბუდსმენის ინსტიტუტის შექმნის საჭიროება და ხომ არ აყენებს პარლამენტი ექვემდებარება იმ დასკვნებს, რომლებსაც სახალხო დამცველი აკეთებს მედიასთან დაკავშირებით?

ამ კითხვაზე თამარ ჩუბოშვილმა უპასუხა, რომ სახალხო დამცველს განსაკუთრებით ბოლო 4 წლის განმავლობაში ძალიან სერიოზული ყურადღებით უსმენს პარლამენტს.

– ძალიან მნიშვნელოვანი განხილვები იმართებოდა პარლამენტში. იმდენად დეტალური, როგორც არასდროს აქამდე. ომბუდსმენის შენიშვნები, როგორც წესი, პარლამენტის რეკომენდაციებშიც აისახებოდა, ასე რომ, ინსტიტუტურად ძალიან კარგი თანამშრომლობა გვაქვს სახალხო დამცველის ოფისთან, – განაცხადა თამარ ჩუბოშვილმა.

ინტერპრესიუსი





# მაშუკა არეშიძე: „ლტოლვილების მიღებას არ უნდა დავთანხმდეთ“



ნონა ცაბაძე

ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრის ინიციატივას, საქართველოში ლტოლვილთა ბანაკების აშენების თაობაზე, ქართველ საზოგადოებაში დიდი ვნებათაღელვა მოჰყვა. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით „ახალი თაობის“ კითხვებს ექსპერტი კავკასიის საკითხებში მაშუკა არეშიძე პასუხობს.

– **ბატონო მაშუკა, როგორ აფასებთ ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრის სებასტიან კურცის განცხადებას, რომ საქართველოში ევროკავშირის ლტოლვილთა მიღების ცენტრი გაიხსნას? ქართული მხარე აცხადებს, რომ მისთვის მოულოდნელია ეს განცხადება. გამოდის, რომ ამ თემაზე საუბარი ან მოლაპარაკება არ ყოფილა?**

– მოლაპარაკება ვერანაირად ვერ იქნებოდა. ეს ან სებასტიან კურცის პირადი ინიციატივა იყო, მას მხოლოდ საქართველო არ უთქვამს, მან თქვა, ეგვიპტეშიც და დასავლეთ ბალკანეთშიცო. არც ის არის გამორიცხული, რომ შეგნებულად გახმოვანდა და რეაქციას დაელოდნენ.

– **რუსეთის მხრიდან ამას უკვე მოჰყვა რეაქცია.**

– დიას, მოვისმინე შეფასება, რომ ეს იქნება რუსეთისთვის სახიფათო. საქართველოს ხელი-სუფლებისთვის არავის მიუშვართავს. ეს ზონდაჟი იყო ერთგვარი. ამიტომაც კურცმა საზოგადოებრივი პასუხი უკვე მიიღო. ზუსტად ასეთივე აგრესია შეხვდა მას ბალკანეთის ქვეყნებიდანაც. სა-

ქართველოს თავისი სერიოზული პრობლემები აქვს დევნილების თვალსაზრისით.

– **რას გულისხმობთ?**

– ჩვენ 1.800-ზე მეტმა დევნილმა მოგვმართა. დაახლოებით 1.000 კაცამდე ისედაც არის საქართველოს ტერიტორიაზე. მარტყოფის ბანაკშიც არიან დევნილები და გაერო ახლა აფართოვებს ამ მარტყოფის ბანაკს. პრაქტიკულად მეორე ბანაკს აკეთებს.

– **ანუ, ჩვენ ლტოლვილებს ისედაც ვიღებთ?**

– ეს პროცედურა საქართველოში გრძელდება, ოღონდ ეს არის ძალიან მცირერიცხოვანი. საბოლოო ჯამში, შეიძლება ეს იყოს 300-400 კაცი. ქართული საზოგადოება არ დაუშვებს იმას, რომ ლტოლვილების რიცხვის გაზრდით დემოგრაფიულ სურათს საფრთხე დაემუქროს.

– **ეს ინიციატივა იყო ვიზალიბერალიზაციის საპასუხოდ? ასეთი შეფასებებიც მოვისმინეთ.**

– არა, ეს არ იყო ვიზალიბერალიზაციის საპასუხოდ. ეგვიპტეზეც არის საუბარი და იქაც ვიზალიბერალიზაციაა? აქ სულ სხვა თემაა. საქართველო დასავლეთის მოკავშირედ მოიაზრება და ეტყობა აქედან გამომდინარე გაჩნდა ეს სურვილი. ეგვიპტე კი დასახელდა იმიტომ, რომ არაბები არიან დევნილები და არაბულ სამყაროში დღეს ეგვიპტე ერთ-ერთი ძლიერი ქვეყანაა და მოშორებული ამ კონფლიქტების ზონას. ასევე აქ მნიშვნელოვანია თურქეთის ფაქტორი.

– **რა თვალსაზრისით?**



– დასავლეთში დღეს თურქეთი აღარ აღიქმება ისეთი ტიპის მოკავშირედ, როგორიც იყო ადრე. აქედან გამომდინარე ორჭოფობა ამ ქვეყნის მიმართ არსებობს. მიაქციეთ ყურადღება, რომ ლტოლვილთა ბანაკების განთავსება კურცმა მოინდომა თურქეთის გარშემო მყოფ ქვეყნებში. ანუ თურქეთიდან ერდოღანის მიერ გამოყრილი დევნილები უნდა განთავსდნენ სწო-

რედ მის გარშემო ქვეყნებში. მე მგონია, რომ სწორედ ეს თემაა, აქ თურქეთის ფაქტორია მთავარი და არა – ვიზალიბერალიზაცია.

– **ეს რამდენად საფრთხის შემცველი იქნება ჩვენი ქვეყნისთვის?**

– ჩვენ თუ ვნახავთ, რა რაოდენობის დევნილები მიიღო ევროპამ, ეს ციფრი შეგვაზრავს. მილიონზე მეტია! ამისი 10% მაინც რომ წამოვიდეს საქართველოში, საქართველო დაილუვება. საუბრები იმის თაობაზე, რომ ევროპა ამაში ფულს გადაიხდის, ის შეინახავს დევნილებს, საზოგადოებრივ აზრს ვერ შეცვლის! ჩვენმა ხელისუფლებამ უნდა გააკეთოს ის, რაც გააკეთა პოლონეთმა, რაც გააკეთა უნგრეთმა, რაც გააკეთა ზოგიერთმა სხვა ევროპულმა ქვეყანამ.

– **კერძოდ?**

– ძალიან მყარად უნდა დადგეს და არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაუშვას, რომ ეს იდეა განხორციელდეს. პოზიცია უნდა იყოს მკაფიო და კატეგორიული! უნგრეთის ტერიტორიაზე დღეს ცხოვრობს დაახლოებით 3 ათასამდე დევნილი და უნგრეთი ცდილობს, რომ ეს 3 ათასიც როგორმე თავისი ქვეყნიდან გაიყვანოს. ამ რაოდენობასაც კი ვერ იტანს დღეს უნგრული საზოგადოება. კედლის მშენებლობაც კი დაიწყეს უნგრელებმა სერბეთის საზღვარზე.

ეს ძალიან მნიშვნელოვანი თემაა. როგორი ზეწოლაც უნდა იყოს დასავლეთიდან, ამას არავითარ შემთხვევაში არ უნდა დაეთანხმდეთ.

## რუსეთის ახალი მუქარა საქართველოს მიმართ



მარიამ მჭედლიშვილი

სომხეთი ნატოსთან ურთიერთობას აღრმავეებს

რუსეთის წარმომადგენლები უკვე გამოეხმაურნენ ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადებას საქართველოსთან მიმართებაში.

როგორც ცნობილია, ავსტრიელმა მინისტრმა გამოთქვა წინადადება, რომ ლტოლვილთა ცენტრები საქართველოშიც უნდა შეიქმნას. მისი აზრით, ახლო აღმოსავლეთიდან და აფრიკიდან ევროპაში მოხვედრის მსურველი მიგრანტების განთავსების ცენტრები უნდა გაიხსნას ევროკავშირის ფარგლებს გარეთ. კერძოდ, საქართველოში, ბალკანეთის ქვეყნებსა და ეგვიპტეში.

ამ ინიციატივაზე აზრი გამოთქვა რუსეთის საკანონმდებლო ორგანოს ზედა პალატის-ფედერაციის საბჭოს თავდაცვის კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ფრანც კლინცევიჩმა. მისი თქმით, საქართველოში მიგრანტთა ცენტრების შექმნა საფრთხეს



უქმნის რუსეთის უშიშროებას. კლინცევიჩის აზრით, ამ ეტაპზე იდეის ავტორებს თბილისის რეაქცია აინტერესებთ, რასაც მოჰყვება კონკრეტული წინადადებები.

საქართველოს მიმართ აგრესიული განცხადებები ამას წინათ გააკეთა რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმაც. კვირას რუსეთის საოკუპაციო რეჟიმმა აფხაზეთში შეასრულა დაპი-

რება საკონტროლო-გამშვები პუნქტების დაკეტვის თაობაზე. მანამდე ამ განზრახვას გამოეხმაურა ევროკავშირი, ნატო და მთელი რიგი სახელმწიფოები. მათ აღნიშნეს საკონტროლო-გამშვები პუნქტების გაუქმების დაუშვებლობა. მიუხედავად ამისა, იქაურებს, განსაკუთრებით ქართველებს, გადაადგილება მაინც შეეზღუდათ. ამიერიდან აღამიანები საქართველოს მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე ერთადერთი გადასასვლელიდან – ენგურის ცენტრალური ხიდიდან გადმოვლენ.

დასავლელი ექსპერტების დასკვნით, რუსეთი მეზობელ სახელმწიფოებს აგრესიულად შეუტევეს. ამისთვის ის გამოიყენებს ყველა საშუალებას – პროპაგანდითა და საინფორმაციო დივერსიით დაწყებული, საზღვრე-

ბის გადმონევით დამთავრებული.

რუსეთის მოქმედებებს, ანალიტიკოსების ვარაუდით, შეენიანაღმდეგება აშშ-ის პრეზიდენტი ტრამპი.

სტივენ პაიფერის აზრით, დონალდ ტრამპმა 6 კვირაში შეცვალა თავისი რიტორიკა – პრეზიდენტი აშშ-ის ტრადიციულ პოლიტიკას დაუბრუნდა. ეს პოლიტიკა გამოიხატება ნატოსადმი მხარდაჭერაში, რუსეთის ექსპანსიის მიმართ წინააღმდეგობასა და უკრაინის მხარდაჭერაში.

მისი თქმით, თებერვალში აშშ-ის ვიცე-პრეზიდენტმა და თავდაცვის მინისტრმა მიუნხენსა და ბრიუსელში დაარწმუნეს მოკავშირეები, რომ ამერიკა დაინტერესებულია ნატოთა და მოკავშირეების უსაფრთხოებით.

რუსეთის მხრიდან დივერსიებისა და არჩევნებში ჩარევას მოელიან ევროპაში. რუსეთის მოკავშირედ ითვლება საფრანგეთის პრეზიდენტობის კანდიდატი მარინ ლე პენი.

„ზიუდოიჩე ცაუტუნგის“ სიტყვებით, პოპულისტი და ნაციონალის-

ტი ლე პენი აპირებს დაანგრის ინტეგრირებული ევროპა. იგი ევროკავშირის მთავარი მტერია. საფრანგეთისა და მთელი ევროპის გადარჩება შეუძლია მის კონკურენტ ემანუელ მარკონს. ევროპის ბედი 65 დღეში, საფრანგეთში საპრეზიდენტო არჩევნების შემდეგ გადაწყდება. გაზეთის ინფორმაციით, სკანდალების შედეგად მარინ ლე პენის რეიტინგი იზრდება.

როგორც ჩანს, კავკასიაში რუსეთს ახალი საფრთხე ელოდება. სომხეთმა და ნატომ მოილაპარაკეს, რომ ინდივიდუალური პარტნიორობის ახალ ხელშეკრულებას გააფორმებენ. ამის შედეგად გაიზრდება სომხეთის მონაწილეობა სამშვიდობო მისიებში. ამასთან, სომხეთი არ გამოადის უსაფრთხოების ორგანიზაციიდან, რომელშიც რუსეთთან ერთად იმყოფება.

სომხები ექსპერტები საუბრობენ იმაზე, რომ სომხეთს რუსეთთან ასიმეტრიული ურთიერთობები აქვს. ისინი დარწმუნებული არიან, რომ სომხეთისა და ნატოს ერთმანეთთან დაახლოებას თურქეთი შეუშლის ხელს.

სომხები ექსპერტები საუბრობენ იმაზე, რომ სომხეთს რუსეთთან ასიმეტრიული ურთიერთობები აქვს. ისინი დარწმუნებული არიან, რომ სომხეთისა და ნატოს ერთმანეთთან დაახლოებას თურქეთი შეუშლის ხელს.

სომხები ექსპერტები საუბრობენ იმაზე, რომ სომხეთს რუსეთთან ასიმეტრიული ურთიერთობები აქვს. ისინი დარწმუნებული არიან, რომ სომხეთისა და ნატოს ერთმანეთთან დაახლოებას თურქეთი შეუშლის ხელს.

სომხები ექსპერტები საუბრობენ იმაზე, რომ სომხეთს რუსეთთან ასიმეტრიული ურთიერთობები აქვს. ისინი დარწმუნებული არიან, რომ სომხეთისა და ნატოს ერთმანეთთან დაახლოებას თურქეთი შეუშლის ხელს.

### სოზარ სუბარი: „საქართველოში ლტოლვილთა ბანაკების შექმნა არ იგეგმება“



საგარეო საქმეთა მინისტრის, სებასტიან კურცის განცხადებას. როგორც ინტერპრესნიუსს სამინისტროდან აცნობეს, სებასტიან კურცის საქართველოში ვიზიტის ფარგლებში სოზარ სუბარს პირადად ჰქონდა მასთან შეხვედრა და აღნიშნული საკითხი არ განხილულა.


– ჩვენ საერთაშორისო ვალდებულებებს ვასრულებთ ძალიან კარგად და ახალი გაფართოება ამ მიმართულებების ვერ მოხდება. მით უმეტეს, იმ ფონზე, რომ ჩვენ გვყავს 274.000 საკუთარი დევნილი ქვეყნის შიგნით, რომელთაგან დაახლოებით ორ მესამედს დღემდე არ მიუღია ბინა და ახალ ვალდებულებებს ჩვენი ქვეყანა ამ მიმართულებით ვერ აიღებს.

ჩვენ ძალიან პატიოსნად, ძალიან ნესიერად ვასრულებთ საერთაშორისო ვალდებულებებს, რომელიც ნაკისრი გვაქვს, როგორც საერთაშორისო საზოგადოების წევრებს. ვასრულებთ საერთაშორისო მისიებში მონაწილეობით და ლტოლვილების მიღების თვალსაზრისითაც.

ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრი იყო საქართველოში, მე პირადად მქონდა მასთან შეხვედრა და მსგავსი საკითხი არ განხილულა არც ჩემთან, არც საგარეო საქმეთა სამინისტროში და არც პრემიერ-მინისტრთან. ეს არის მისი ინიციატივა, რომელიც წამოაყენა. ინიციატივასაც ვერ დაეპყრე, ეს არის მისი სურვილი. ინიციატივა იმდენად უნდა ან შეთანხმდეს საქართველოში ევროკავშირის ლტოლვილთა ცენტრის გახსნის შესახებ არ არსებობს, – განაცხადა სოზარ სუბარმა.

ინტერპრესნიუსი

### ლტოლვილთა ცენტრის გახსნა რუსეთს გააღიზიანებს



კავშირებით თურქეთს ემყარებოდა, ბუნებრივია, ისინი ახლა ალტერნატივას ეძებენ. კიდევ ერთხელ ვიმეორებ, რომ ბევრი სპეციფიკური მომენტიდან გამომდინარე, ჩვენ ბევრი არგუმენტი გვაქვს, თუ რატომ არ შეიძლება საქართველოს ტერიტორიაზე ამის გაკეთება.

დოკუმენტური კურიოზია, როდესაც გუშინ რუსეთის განცხადება იყო, რომ რუსეთის ნაციონალურ ინტერესებში არ შედის საქართველოს ტერიტორიაზე ლტოლვილთა ბანაკების ჩამოყალიბება. ეს არის ისეთი უნიკალური შემთხვევა, როდესაც საქართველოს ნაციონალური ინტერესები ეთხოვება რუსეთის მხრიდან გახმოვანებულ ნაციონალურ ინტერესებს, – განაცხადა ხუხაშვილმა.

პოლიტოლოგის თქმით, ასეთმა ქმედებამ შესაძლოა ხელი შეუწყოს რუსეთის მხრიდან არგუმენტირებულ აგრესიას საქართველოს მიმართ.

– ისედაც გვახსოვს, რომ რუსეთი ხმამაღლა საუბრობდა პანკისში ტერორისტულ ბუდეებზე და ა.შ. ასეთი ბანაკების საქართველოს ტერიტორიაზე არსებობამ, შესაძლოა რუსეთის ხელში კიდევ ერთი დამატებითი მაპროვოცირებელი არგუმენტი გააჩინოს. აქედან გამომდინარე, ჩვენ იმის ფუფუნება, რომ ასეთი განცხადებები დაეშვათ, ნამდვილად არ გვაქვს, – განაცხადა ხუხაშვილმა.

ინტერპრესნიუსი

### ლტოლვილთა ცენტრის გახსნა რუსეთს გააღიზიანებს

ექსპერტი გია ხუხაშვილი ლტოლვილთა მიღების ცენტრების საქართველოში განთავსებაზე ევროკავშირისა და ქართულ მხარეს შორის კონკრეტული შეთანხმების არსებობას გამორიცხავს.

– საუბრის დროს ბევრი რამ ითქმება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასეთი გარიგება შეიძლება შემდგარიყო, რადგან მსგავსი საკითხები, რაც პირდაპირ ბმაშია უსაფრთხოებასთან და საქართველო ამ შემთხვევაში ძალიან პრობლემური ადგილია ბევრი მიზეზის გამო ამ ტიპის, თუნდაც ჰუმანიტარული ოპერაციებისთვის, არ მგონია, რომ საქართველოს ხელისუფლებას ასეთ შეთანხმებაზე ხელი მოეწერა.

შეიძლება ეს სურვილი გამოთქმული იყო რაღაც პერსპექტივაში ასეთი საუბრების, მაგრამ კონკრეტულ შეთანხმების გამოყენებაზე, – განუცხადა ინტერპრესნიუსს გია ხუხაშვილმა.

მისივე თქმით, ზოგადად, ევროკავშირის ლტოლვილთა განთავსების პრობლემა აქვს და ცდილობს, რომ ამ პრობლემის რისკები სხვადასხვა ქვეყანაზე, მათ შორის, აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებსა და არა მხოლოდ მათზე გადააწილოს.

– იქიდან გამომდინარე, რომ ამ ბოლო პერიოდში თურქეთთან განსაკუთრებით დაიძაბა ურთიერთობა და დღითიდღე ვითარება კიდევ უფრო მწვავედება, მათი მთავარი იმედები მიგრაციასთან დაკავშირებულია. – განაცხადა ხუხაშვილმა.

– ისედაც გვახსოვს, რომ რუსეთი ხმამაღლა საუბრობდა პანკისში ტერორისტულ ბუდეებზე და ა.შ. ასეთი ბანაკების საქართველოს ტერიტორიაზე არსებობამ, შესაძლოა რუსეთის ხელში კიდევ ერთი დამატებითი მაპროვოცირებელი არგუმენტი გააჩინოს. აქედან გამომდინარე, ჩვენ იმის ფუფუნება, რომ ასეთი განცხადებები დაეშვათ, ნამდვილად არ გვაქვს, – განაცხადა ხუხაშვილმა.

ინტერპრესნიუსი

**გახდომია-გახსნა 5-20 კმ-ით თვეში!**

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, გარე-შეხებისა და აკრომატიკის გარეშე, რეგულირდება მადი, ქრება უსიამოვნო სუნის პირიდან, ნესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი ინაწილებს მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები – ქოლესტერინისგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადებითი სასურველი წონა და შეინარჩუნება მას სტაბილურად.

**სიმაღლეში ზრდის პანსეა, სწრაფი და ეფექტური პროგრამა 1-დან 25 წლამდე**

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. გიტამინების, ძვლის მკვეთრი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტური გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამოყენება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე.

**ქ-ნი ქმთხანი**

მის. მ.მ.მ. „დიდუბა“, წარმოშობის ქ. 142, 1 სართული, კაბინეტი №6  
☎ 577-29-37-41, 247-58-83



# როგორ დავიცვათ საბანკო დანაზოგები?

დეპოზიტების დაზღვევის სისტემის ჩამოყალიბება იქნება კარგი პრევენცია, რათა მომავალში ჩვენი მოსახლეობის საბანკო დანაზოგები საიმედოდ იყოს დაცული.

ამის შესახებ ფინანსთა მინისტრის მოადგილე ნიკოლოზ გაგუამ ჟურნალისტებთან „დეპოზიტების დაზღვევის შესახებ“ კანონპროექტის კომენტარებისას განაცხადა.

ნიკოლოზ გაგუამ განცხადებით, დეპოზიტების დაზღვევის სისტემა ფინანსურ სექტორში სტაბილურობას კიდევ უფრო განამტკიცებს. მისი შეფასებით, დეპოზიტების დაზღვევა დეპოზიტორების დაცვის მსოფლიოში აპრობირებული სისტემაა.

დეპოზიტების დაზღვევის სისტემა, როგორც ფინანსური უსაფრთხოების კომპონენტი, დანერგულია და მოქმედებს მსოფლიოს 113 ქვეყანაში, მათ შორის ევროპის, ცენტრალური აზიის და საქართველოს მეზობელ ქვეყნებში.

– ჩვენც ასოცირების შეთანხმებით გვაქვს აღებული ეს ვალდებულება და ვთვლით, რომ ეს ძალიან მნიშვნელოვანი რეფორმაა. ზოგადად, ეს რეფორმა უნდა გატარდეს სწორედ იმ მომენტში, როდესაც რისკები დაბალია ფინანსურ სისტემაში, ხოლო მოსახლეობის ნდობა – მაღალი. სხვა შემთხვევაში, ალბათ, რთული იქნება ამ რეფორმის განხორციელება. ამიტომ ვთვლით, რომ დროულობა ამასთან დაკავშირებით საქმოდ მაღალია.



ვთვლით, რომ აღნიშნული სისტემის დანერგვა ფინანსურ სექტორში სტაბილურობას კიდევ უფრო განამტკიცებს და ნდობას, რომელიც მაღალია, კიდევ უფრო აამაღლებს, – განაცხადა ნიკოლოზ გაგუამ.

კანონპროექტის თანახმად, საბანკო დეპოზიტების დაზღვევა 2018 წლიდან გახდება სავალდებულო. საუბარია, 5 ათასი ლარის მოცულობის დეპოზიტებზე.

ამასთან, კანონპროექტი გულისხმობს დაზღვევის სპეციალური სააგენტოს შექმნას, რომელშიც ეროვნული ბანკისა და ფინანსთა სამინისტროს წარმომადგენელთან ერთად კომერცი-



ული ბანკების წარმომადგენლებიც იქნებიან.

\*\*\*

დეპოზიტების სავალდებულო დაზღვევის შესახებ კანონის იმპლემენტაციის შემდეგ, საბანკო სექტორის ხარჯი დაახლოებით 15-20 მილიონი ლარით გაიზრდება, რაც პირდაპირ ან ირიბად შეიძლება აისახოს დეპოზიტებისა და სესხების საპროცენტო განაკვეთებზე.

ამის შესახებ თიბისი ბანკის გენერალურმა დირექტორმა ვახტანგ ბუცხრიკიძემ ჟურნალისტებთან საუბრისას განაცხადა. მისი განმარტებით, დღეს დეპოზიტების სავალდებულო დაზ-

ღვევის თემა საქართველოს საბანკო სექტორისთვის არ არის აქტუალური.

– ჩვენ ბევრჯერ გვერწმუნა ამ საკითხის განხილვა არა მარტო თიბისი ბანკს, არამედ საბანკო ასოციაციასთან ერთად. ეს საკითხი საბანკო სექტორისთვის არ არის აქტუალური, სხვა უფრო საინტერესო პროექტები შეიძლება განხორციელდეს. არ ვფიქრობთ, რომ დეპოზიტების დაზღვევის შემთხვევაში შეიძლება ნდობა გაიზარდოს. ქართულ საბანკო სექტორში ნდობა არის იმაზე უფრო მეტი, ვიდრე აუცილებელია. არ ვთვლით, რომ ამით რაღაც ახლის მიღწევა შეიძლება მოხდეს, – განაცხადა ვახტანგ ბუცხრიკიძემ.

თიბისი ბანკის გენერალური დირექტორი მიიჩნევს, რომ დეპოზიტების სავალდებულო დაზღვევაზე მსჯელობა ამ ეტაპზე ნაადრევი იყო.

– ჩვენ ვთვლიდით, რომ ეს ნაადრევი იყო და 2018 წლისთვის კანონპროექტის ამოქმედება არ იყო საჭირო. თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ რამდენიმე წლის განმავლობაში სხვადასხვა საერთაშორისო საფინანსო ინსტიტუტი აქტიურად მუშაობდა ამ თემაზე, აუცილებელი იყო, რომ პროცესი დაძვულიყო და ამ კანონპროექტის განხილვა დაწყებულიყო.

ჩვენ განსხვავებული აზრი გვექონდა, მაგრამ ამ მიმართულებით მოხდა განვითარება. რეალობა არის ის, რაც გვაქვს და ჩვენ ამას შევასრულებთ, – განაცხადა ბუცხრიკიძემ.

## როდისა და სად დაიწყება თბილისში პირველი ვერტიკალური პარკინგი?

თბილისში პირველი ვერტიკალური პარკინგის კონსტრუქციის მშენებლობა უახლოეს დღეებში დაიბეჭდება.

როგორც პროექტის ერთ-ერთმა ავტორმა მალხაზ ცისკარიშვილმა ბიზნესპრესნიუსს განუცხადა, დედაქალაქში პირველი ვერტიკალური პარკინგი შესაძლოა, დაახლოებით 2 კვირის შემდეგ გამოჩნდეს.

– ამ ეტაპზე 4-მანქანიან კონსტრუქციაზე ვასრულებთ მუშაობას, რის შემდეგაც ტესტირების ჩატარება საჭიროა. ამ ყველაფერს კი დაახლოებით 2 კვირა სჭირდება და ჩვენი ვარაუდით, ვერტიკალური პარკინგები დედაქალაქში, სავარაუდოდ, ორი კვირის შემდეგ გამოჩნდეს, – აღნიშნა მალხაზ ცისკარიშვილმა.

მისივე თქმით, ეს იქნება საცდელი ნიმუში და სანამ საცდელი ნიმუში არ დასრულდება, სერიაში ჩაშვება არ მოხდება.

პროექტის ერთ-ერთი ავტორის თქმით, პირველივე ეტაპზე ქალაქს დაახლოებით 1.000 ასეთი კონსტრუქცია სჭირდება.

რაც შეეხება ღირებულებას, როგორც ცისკარიშვილი აღნიშნავს, მშენებლობისა და გამოცდების დასრულებამდე ზუსტი ღირებულების თქმა ძნელია, მაგრამ სერიული ნაწარმი შედარებით იაფი ელირება.

ცისკარიშვილის ვარაუდით, პირველი ვერტიკალური პარკინგი შესაძლოა დადიანის გამზირზე გამოჩნდეს. მისივე ცნობით, პარკინგები 4, 6, 8, 10 და 12 მანქანაზე იქნება გათვლილი.

აღნიშნული პარკინგები დედაქალაქში, ქუჩებზე პარკინგისა და ამის გამო საცობების არსებულ პრობლემებს მოაგვარებს. ასევე კონსტრუქციების შექმნა კერძო ბიზნესსაც შეეძლება. როგორც ცისკარიშვილი აღნიშნავს, ზოგიერთი სამშენებლო კომპანია უკვე დაინტერესებულია და ელოდება მათ ნაწარმს.

პროექტზე, რომელმაც ეკონომიკის სამინისტროს ინოვაციური პროექტების კონკურსში გაიმარჯვა და 100 ათას ლარიანი დაფინანსება მოიპოვა, მეცნიერებისა და კონსტრუქტორების 4-კაციანი ჯგუფი – მალხაზ ცისკარიშვილი, ანზორ საკანდელიძე, ფრიდონ ბუნთაძე და სერგო ჯორბენაძე მუშაობს.

ბიბიენი

## მახინჯაურში გოგირდის აბანოებს ასხვისებენ?

აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ნაციონალური მოძრაობის წევრების განცხადებას მახინჯაურში გოგირდის აბანოების და „მზიურის“ ტერიტორიის გასხვისებასთან დაკავშირებით პასუხობს.

როგორც აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს იურიდიული დეპარტამენტის უფროსი გელა ცინცაძე ამბობს, ტერიტორიის გასხვისებასთან დაკავშირებით, ყველა ეტაპი დეტალურად არის განვირეილი და სამინისტრო აღნიშნული პირობების შესრულების მონიტორინგს ახორციელებს.

– 2016 წლის სექტემბერში შპს „სტატოტელსა“ და სამინისტროს შორის ნასყიდობის ხელშეკრულება გაფორმდა, რომლითაც საპრივატიზაციო ვალდებულების შესაბამისი ვადები და პირობები განისაზღვრა.

კერძოდ, კომპანია 6 თვის ვადაში ვალდებულია, სამინისტროში ასაშენებელი სასტუმროს და სარეაბილიტაციო დაწესებულების ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების გეგმა წარმოადგინოს, 9 თვეში ნასყიდობის საფასური გადაიხადოს, ხოლო სამშენებლო ეტაპების შესრულება კომპანიამ 12 თვეში უნდა უზრუნველყოს.

კომპანიამ 36 თვის ვადაში არანაკლებ 100-ნომრიანი სასტუმრო უნდა შეიყვანოს ექსპლუატაციაში, ხოლო 42 თვის ვადაში სარეკრეაციო ზონა უნდა მოამზადოს. ყველა ეტაპი დეტალურად არის განვირეილი და სამინისტრო აღნიშნული პირობების შესრულების მონიტორინგს ახორციელებს, – განაცხადა გელა ცინცაძემ.

ნაციონალური მოძრაობის აჭარის ორგანიზაციის წევრები მახინჯაურში გოგირდის აბანოების და „მზიურის“ ტერიტორიის გასხვისებას აპროტესტებენ.

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს წევრი ნაციონალური მოძრაობის წევრი გია აბულაძე ამბობს, რომ აჭარის მთავრობამ აღნიშნული მიწის ნაკვეთი და შენობა-ნაგებობები მინიმალურ ფასად გაასხვისა.

# ქართული კონიაკისა და ღვინოების ნაკრები ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების საერთაშორისო კონკურსზე „BLACK SEA REGION WINES & SPIRITS CONTEST 2017“

მოგესხნებათ, მიმდინარე წლის 15-18 თებერვალს, მოლდავეთში, ქ. კიშინიოვში ჩატარდა ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების ახალი, შავი ზღვის რეგიონის ქვეყნების ლია საერთაშორისო კონკურსი „BLACK SEA REGION WINES & SPIRITS CONTEST 2017“ და EXPOVIN MOLDOVA 2017 ერთიანი პროექტით, რომელიც ვაზისა და ღვინის საერთაშორისო ორგანიზაციის (OIV) ინიციატივითა და პატრონაჟით ტარდება. 26 წელია, რაც მოლდავეთში მსგავსი საერთაშორისო კონკურსები ტარდებოდა. გასული წლიდან პირველი ასეთი საერთაშორისო კონკურსი ჩვენთან, ქ. ბათუმში ჩატარდა საქართველოს ენოლოგთა კავშირის, მოლდავეთის ღვინის გამოფენისა „BLACK SEA REGION WINES & SPIRITS CONTEST 2017“ და ღვინის ეროვნული სააგენტოს ერთობლივი ორგანიზებით.

ამ კონკურსის მიზანია: შავი ზღვის რეგიონის მეღვინეობის პროდუქციის ხარისხობრივი პოტენციალის წარმოჩენა და მა-



თი მხარდაჭერა ევროპისა და მსოფლიოს ბაზრებზე. კონკურსზე ტრადიციულად იწვევენ ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების თემაზე მწერალ ჟურნალისტებს როგორც შავი ზღვის რეგიონის ქვეყნებიდან, ასევე ჩინეთიდან, იაპონიიდან და რიგი ევროპული ქვეყნებიდან. კონკურსის შედეგები გადაეგზავნება მრავალი ქვეყნის ჟურნალ-გაზეთებს, მათ შორის ამერიკულ ჟურ-

ნალ „Wine Spectator“-ს, რომელიც ყოველწლიურად მსოფლიოს 100 საუკეთესო ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელებს ასახელებს. საქართველოდან ჯერჯერობით 100 საუკეთესო ღვინისა და ალკოჰოლიანი სასმელების სასმელების სიაში ჩვენი პროდუქცია არ მოხვედრილა.

საქართველოს ენოლოგთა კავშირის მოგვმართა მოლდავეთის ენოლოგთა კავშირმა თხოვნით, ჩვენი ქვეყნის წარმადებულ ღვინის საწარმოებს აქტიური მონაწილეობა მიეღოთ ამ კონკურსში. ჩვენი და ღვინის ეროვნული სააგენტოს მცდელობით, შარშანდელთან შედარებით, გაცილებით მეტი ნიმუში იქნა წარმოდგენილი ამ კონკურსზე. დასაწინაა, ბევრმა წარმომადგენელმა ღვინის საწარმომ თავი აარიდა ამ კონკურსს. მათ გასაგონად მიწადა კიდევ ერთხელ განაცხადო, დღესდღეობით მსოფლიოში (OIV) ეგიდით დაგეგმილი ყველა კონკურსის შედეგები ერთნაირად ფიქსირდება ვაზისა და ღვინის საერთაშორის-

ო ორგანიზაციაში, რომლის შედეგებს ეცნობიან დაინტერესებულები. ჩვენთვის ამ კონკურსის დამატებითი მნიშვნელობაც აქვს. მის შედეგებს აქტიურად ადევნებენ თვალყურს ჩვენი ტრადიციული ბაზრების წარმომადგენლები. ასე რომ, მომავალში ჩვენი საწარმოები მეტად უნდა დაინტერესდნენ ასეთ კონკურსში მონაწილეობის მიღებით.

წლევეანდელ კონკურსში რეკორდული რაოდენობის – 432 ნიმუში იქნა წარმოდგენილი 12 ქვეყნიდან. ჩვენი ნიმუშებიდან:

**დიდი ოქროს მედლით** შეფასდა: სააქციო საზოგადოება „სარაჯიშვილის“ აღმასრულებელი დირექტორი ზურაბ ბუბუტიშვილი ძველი ქართული კონიაკი – **სარაჯიშვილი XO**.

**ოქროს მედლით:** თელიანის ღვინის მარნის დირექტორი თენგიზ ჯავახიშვილი „მუკუზანი მარანი“ 2014 წ.

შპს ქართული ღვინის დირექტორი კახაბერ კვიფინაძე „საფერავი“ 2015 წ.



**ვერცხლის მედლით:** თელიანის ღვინის მარნის ღვინოები: თელიანის შუშუნა ღვინო, თეთრი, ნახევრად მშრალი; თელიანის შუშუნა ღვინო, წითელი, ნახევრად ტკბილი; თელიანის საფერავი კონდოლის ვენახებიდან, 2014 წ.

**შავი ზღვის რეგიონის ღვინისა და სპირტიანი სასმელების 2017 წლის კონკურსის დეგუსტატორი, საქართველოს ენოლოგთა კავშირის თავმჯდომარე ტ.მ.დ. მურმან ქურდიე**





# რა შეითხვევაში შეიქმნა ხელისუფლება სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმებას

პოლიტიკისა და სამართლის ცენტრის თავმჯდომარის, ადვოკატ ამირან გიგუაშვილის განცხადებით, თუ სტრასბურის სასამართლოს მიერ მოხდება უზრუნველყოფის ღონისძიების გაგრძელება 8 მარტის შემდეგ იმ დრომდე, ვიდრე ევროპულ სასამართლოში რუსთავი 2-ის სარჩელის განხილვა არ დასრულდება, ერთადერთი სამართლებრივი შექანიზმი, რომლითაც ქიბარ ხალვაშმა შეიძლება საკუთრების უფლება დაირეგისტრიროს საჯარო რეესტრში, ეს საქართველოს ხელისუფლების მიერ სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილებების რუსული მოდელით იგნორირება იქნება.

– დღესდღეობით ჩვენ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ხელმოწერი ქვეყანა ვართ და გვაქვს ვალდებულება, სრულად აღვასრულოთ სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომელთა შინაარსიც, უპირველეს ყოვლისა, ჩვენი მართლმსაჯულების სისტემაში არსებული ხარვეზების გამოსწორებას გულისხმობს.

ტემაში არსებული ხარვეზების გამოსწორებას გულისხმობს.

ახე ხდება ყველგან, ვისაც დემოკრატიაზე მცირედი პრეტენზია მაინც აქვს. თუმცა, არსებობს სხვა მიდგომებიც, მაგალითად, რუსეთის ფედერაციაში, სადაც სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილებების მთლიანად ან ნაწილობრივ შეუსრულებლობა დასაშვებია, თუ ამას გადანაწევრების რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლო, – აცხადებს გიგუაშვილი.

2015 წელს პუტინმა ხელი მოაწერა რუსეთის საპარლამენტო უმრავლესობის მიერ ინიცირებულ კანონპროექტს, რომლის თანახმად, რუსეთის საკონსტიტუციო სასამართლოს შეუძლია სრულად ან ნაწილობრივ გააუქმოს სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილებები, თუ მიიჩნევს, რომ მათი შინაარსი კონსტიტუციას ეწინააღმდეგება.

ახე მოხდა სულ ახლახან, როდესაც „იუკოსის“ აქციონერებისთვის 2 მილიარდამდე დო-

ლარის კომპენსაციის გადახდის შესახებ სტრასბურის სასამართლოს გადაწყვეტილების შესრულებაზე რუსეთის ფედერაციამ უარი განაცხადა, ვინაიდან საკონსტიტუციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ეს გადაწყვეტილება რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციას ეწინააღმდეგებოდა.

– დაუშვებელია ევროპული სასამართლოს დისკრედიტაციის მცდელობა და გარკვეული ნეგატიური ფონის შექმნა საზოგადოებაში, რისი ნიშნებიც აშკარად ჩანს. იმედია, არასოდეს დაგვადგებით იმ რეალობის წინაშე, როდესაც რომელიმე პოლიტიკოსს აზრად მოუვა ისეთი კანონპროექტის შემოთავაზება, რომელიც ევროპული სასამართლოს გადაწყვეტილებების რევიზიას დასაშვებს გახდის, როგორც ეს პუტინის რუსეთში ხდება. ეს სრულიად შეუთავსებელი იქნება ჩვენი ქვეყნის ევროინტეგრაციის გზაზე, – აცხადებს ამირან გიგუაშვილი.

ინტერპრესიუსი



## ფარგაშვილი საქმიანობის დაპირებების უფროსი დავით მაჭარაშვილი დააკავეს

ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა „სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს“ ფარმაცევტული საქმიანობის დეპარტამენტის უფროსი დავით მაჭარაშვილი დააკავეს.

სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მისცეს ფსიქოტროპული მედიკამენტების იმპორტიორი ორი კომპანიის ხელმძღვანელი პირი.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგინდა, რომ დავით მაჭარაშვილმა, ფსიქოტროპული და მასთან გათანაბრებული მედიკამენტების კვოტირებისა და მედიკამენტების იმპორტის რაოდენობის დადგენის პროცესში, აღნიშნულ ორ კომპანიის მხარეზე არამართლზომიერი უპი-



რატელობა, რის შედეგადაც ქვეყანაში, მიმოქცევაში მოხდა არსებულ საჭიროებაზე მეტი ფსიქოტროპული და მასთან გათანაბრებული მედიკამენტი. საქმეზე მიმდინარეობს გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-ე მუხლის პირველი ნაწილით და 25 – 332-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 3 წლამდე.

ინტერპრესიუსი

## ქუთაისში ავარიის შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა

ქუთაისში ავტოსაგზაო შემთხვევის შედეგად ერთი ადამიანი დაიღუპა.

შემთხვევა 6 მარტს ავტოქარხნის დასახლებაში მოხდა. თვითმხილველების თქმით, ქვეითად მოსიარულე ქალს ავტომობილი დაეჯახა,



რის შედეგადაც იგი ადგილზე გარდაიცვალა.

მოხდადარზე ძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის მე-5 ნაწილით მიმდინარეობს, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს, რამაც გამოიწვია ადამიანის სიცოცხლის მოსპობა და ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით 4-დან 7 წლამდე, თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევით ვადით სამ წლამდე.

## გიგა ბოკერია მატროსოვის სინეზი ვანო მერაბიშვილს შეხვდა



„ევროპული საქართველო“ ერთ-ერთი ლიდერი გიგა ბოკერია მატროსოვის ციხეში შს ყოფილ მინისტრს ვანო მერაბიშვილს შეხვდა.

როგორც №9 პენიტენციური დაწესებულებიდან გამოსვლის შემდეგ გიგა ბოკერიამ განაცხადა, შეხვედრაზე საუბარი შეეხებოდა ქვეყანაში არსებული ზოგად პოლიტიკურ ვითარებას და პირადად ვანო მერაბიშვილის საქმეს, რომელიც უახლოეს დღეებში სტრასბურის სასამართლოში უნდა იყოს განხილული.

გიგა ბოკერიას თქმით, ეს საქმე, ისევე როგორც რუსთავი 2-ის საქმე, რომელიც ასევე სტრასბურის სასამართლოში განიხილება, ქვეყნისთვის საკვანძო მომენტია.

– სტრასბურში ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოში განიხილება რუსთავი 2-ის საქმე და სასამართლომ უკვე მიიღო ისტორიული გადაწყვეტილება, როდესაც 8 რიცხვამდე დროებითი ზომა გამოიყენა. ამავე დროს, რამდენიმე დღეში იქნება მოსმენა ვანო მერაბიშვილის საქმის, რომელიც ასევე პოლიტიკურ დენას ეხება და მასზე იქნება მიღებული გადაწყვეტი-

ლება.

ჩვენთვის მნიშვნელოვანია, რომ ის ევროპული ინსტიტუტები ეფექტურად გამოიყენონ, რათა ქვეყანა ამ ძალიან სასიფათო გზიდან გადავიყვანოთ. ამ საკითხებზე მქონდა საუბარი მერაბიშვილთან და ასევე მის პერსონალურ საქმეზე, ისევე, როგორც ზოგადად პოლიტიკურ ვითარებაზე ქვეყანაში, – განაცხადა გიგა ბოკერიამ.

რაც შეეხება ვანო მერაბიშვილის პოლიტიკურ გეგმებს, როგორც „ევროპული საქართველო“ ერთ-ერთმა ლიდერმა აღნიშნა, ვანო მერაბიშვილი არის პოლიტიკური პატიმარი და ის საკუთარ პოლიტიკურ გეგმებზე მაშინ ისაუბრებს, როდესაც ამას თავად ჩათვლის საჭიროდ.

ინტერპრესიუსი


## უკრაინის მოქალაქე ნარკოდანაშაულისთვის თბილისში დააკავეს

შს-ს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ ბრძოლის მთავარი სამმართველოს და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, უკრაინის რესპუბლიკის მოქალაქე, 1993 წელს დაბადებული პ.ა. ნარკოდანაშაულისთვის თბილისში დააკავეს.

სამართალდამცველებმა დაკავებულისგან 152 შეკერად დაფასოებული კანაფის ფისის შემცველი ნარკოტიკული საშუალება და 0,05314 გრამი ამფეტამინი ააოილეს.

– ნარკოლოგიური შემთხვევების შედეგად, პ.ა.-ს სხვადასხვა დასახელების ნარკოტიკის მოხმარების ფაქტი დაუდგინდა.

გამოძიება განსაკუთრე-



ბით დიდი და დიდი ოდენობით ნარკოტიკული საშუალების უკანონო შეძენა-შენახვის ფაქტზე მიმდინარეობს.

## შპს „ჰიგიენის“ ყოფილი ხელმძღვანელი თანხის მითვისების ბრალდებით დააკავეს

სამართალდამცველებმა ნაგავსაყრელის მშენებლობისთვის გამოყოფილი სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი თანხის მითვისების ბრალდებით აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ დაფუძნებული, შპს „ჰიგიენის“ ყოფილი ხელმძღვანელი, ირაკლი ცეცხლაძე ბრალდებულის სახით დააკავეს.

ბრალდებულის დაკავებისას ამოღებულია თანხის ნაწილი.

გამოძიების შედეგად შეკრებილი მტკიცებულებების საფუძველზე დადგინდა, რომ ბრალდებულმა, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, მართლსაწინააღმდეგოდ მითვისა კომპანიის ანგარიშზე არსებული, სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი, განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხა, რაც უნდა მოხმარებულიყო ქობულეთის მუნიციპალიტეტში თანამედროვე ნაგავსაყრელის მშენებლობას.

ბრალდებულის დაკავებისას ამოღებული იქნა თანხის ნაწილი. სასამართლომ უკვე იმსჯელა აღმკვეთ ღონისძიებაზე და ბრალდებულს დაპატიმრება შეეფარდა.

საქმეზე მიმდინარეობს



გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „დ“ და მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნტით, რაც სასჯელის სახით ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 7-დან 11 წლამდე ვადით.

\*\*\*

– შპს „ჰიგიენა 2009“-ის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით, აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს რამაზ ბოლქვაძეს წერილობით მიემართეთ და განმარტება ვთხოვეთ, თუმცა უშედეგოდ.

ამის შესახებ აჭარის უმაღლესი საბჭოს ნაციონალური მოძრაობის დეპუტატმა გია აბულაძემ ინტერპრესიუსს განუცხადა.

ოპოზიციის წევრები ვარაუდობენ, რომ ქობულეთში, ნაგავსაყრელის მშენებლობასთან დაკავშირებით არსებობს პრობლემები და აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ვალდებულია, დეპუტატთა კითხვებს უპასუხო.

– გასულ კვირას აჭარის ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრს რამაზ ბოლქვაძეს წერილობით მიემართეთ, რათა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოში ნაციონალური მოძრაობის ფრაქციის სხდომაზე განმარტება გეგმავდეს შპს „ჰიგიენა 2009“-ის ხელმძღვანელის ირაკლი ცეცხლაძის მიერ თანხის შესაძლო მითვისებასთან დაკავშირებით.

ნაციონალური მოძრაობის დეპუტატმა ელგუჯა ბაგრატიონმა მინისტრთან სცადა დაკავშირება, თუმცა მან ბაგრატიონის სატელეფონო ზარს არ უპასუხა.

უმთავრესი კითხვა გვაქვს ჩვენ, საფრთხე ხომ არ ემუქრება ქობულეთში ნაგავსაყრელის მშენებლობას. ველოდებით მინისტრისგან განმარტებებს, – აცხადებს გია აბულაძე.

## ქუთაისში მე-9 სართულიდან ახალგაზრდა მამაკაცი გადმოვარდა



ქუთაისში ავტოქარხნის დასახლებაში ახალგაზრდა მამაკაცი, საცხოვრებელი კორპუსის მე-9 სართულიდან გადმოვარდნის შედეგად გარდაიცვალა.

შემთხვევა 6 მარტს დილით მოხდა.

გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც თვითმკვლელობამდე მიყვანას გულისხმობს.

ინტერპრესიუსი

## რუსთაველი ბუნებრივი აირის ნაგავით გაზი და შეილიშვილი გარდაიცვალა

რუსთაველი, მე-19 მიკრორაიონის №23 საცხოვრებელ კორპუსში, ბუნებრივი აირის ნაგავით ინტოქსიკაციით ბებია და შეილიშვილი გარდაიცვალნენ.

გარდაცვლილები 55 წლამდე ასაკის ქალი და 12 წლის მოზარდი არიან.

ახლობლების თქმით, ბავშვსა და ბებიას მთელი დღის განმავლობაში ეძებდნენ, მოგვია-



ნებით კი საცხოვრებელი ბინის კარის გაღების მიზნით, სამაშველო სამსახური გამოიძახეს. სახლში შესულებს კი ორივე გარდაცვლილი დახვდათ.

ინტერპრესიუსი

## ქველ-სახსართა პროვლემების:

კოქსატროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატიოიდიული ართროზის, ანკილოზირებული სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიარტრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცივითი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციო სახსრებზე — ძვლის მკვებადებით, მცენარეული პრეპარატებით, ნონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარია.

☎ 599-91-37-65. 234-02-38  
ქალბატონი ქეთათო





## მარიკი ლე პენი: „უპიზი ეპროპოსივის საფრთხეს არ წარმოადგენს“



საფრანგეთის ნაციონალური ფრონტის ლიდერმა ბიბი-სი-ს ვრცელი ინტერვიუ მისცა. შეკითხვაზე, მართალია თუ არა, რომ მან რუსეთის ბანკებისგან 9 მილიონი ევროს კრედიტი მიიღო, მიუგო, რომ ეს სიმართლეს შეესაბამება.

— ფული პარტიის დასაფინანსებლად მჭირდებოდა, საფრანგეთის ბანკებმა კი კრედიტზე უარი მიიბრუნეს, — განაცხადა ლე პენმა.

კორესპონდენტის შეკითხვაზე, რუსულ საფრთხეს როგორ შეაფასებთ, ლე პენმა მიუგო, რომ ასეთი რამ არ არსებობს.

— პუტინი ევროპისთვის საფრთხეს არ წარმოადგენს. ის ისეთს არაფერს აკეთებს, რაც საშიშროებას შეგვიქმნის. ჩვენ უნდა მივეჩვიოთ, რომ მოსკოვი თავის ინტერესებს დაცავს, პოსტსაბჭოთა სივრცე კი რუსეთის ინტერესების სფეროა, — აცხადებს ფრანგი ნაციონალ-რადიკალების ლიდერი.

## რუსი კომუნისტები სტალინს მისტირიან



მოსკოვში რუსმა კომუნისტებმა იოსებ სტალინის საფლავზე ყვავილები დააწყეს. კომპარტიის ლიდერმა გენადი ზიუგანოვმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სტალინი დიდი რუსი პოლიტიკური მოღვაწე იყო.

— მან კავის რუსეთი ჩაიბარა და ზესახელმწიფო დატოვა, რომელსაც ატომური ბომბი გააჩნდა და მთელ მსოფლიოს თავზარს სცემდა, — განაცხადა ზიუგანოვმა.

რუსი კომუნისტების ლიდერმა აღნიშნა, რომ სტალინის სიმართლე დრომ დაამტკიცა. ამასთან დაკავშირებით მან როგორც უკრაინაში, ისე საქართველოში განვითარებული მოვლენები მიმოიხილა.

— სწორედ სტალინმა შექმნა სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკა! ეს რომ არა, დღეს რუსეთისთვის ამიერკავკასია უკვე კარგა ხნის დაკარგული იქნებოდა, — თქვა ზიუგანოვმა.

რუსი კომუნისტების ლიდერი სტალინის მიერ უკრაინაში გატარებულ პოლიტიკასაც შეეხო. მისი აზრით, სწორი იყო როგორც გოლოდომორის მოწყობა, ასევე უკრაინული ეკლესიის დარბევაც.

— სტალინი ცდილობდა, რუსი და უკრაინელი ხალხები აერია და ერთიანი რუსი ერი შეექმნა! ეს პოლიტიკა მისი სიკვდილს შემდეგ რომ გაგრძელებულიყო, დღეს დონბასში ომი არ იქნებოდა, — ამბობს ზიუგანოვი.

## ერაყის არმიამ მოსულის შუპარი დაიწყო



მოსულთან ბრძოლები გრძელდება. ერაყის არმიამ ქალაქის კიდევ რამდენიმე უბანი დაიკავა. ერაყელები მიიწვევენ მოსულის ცენტრისკენ, სადაც ისლამისტი-ექსტრემისტები არიან გამაგრებული.

დაიწყო იერიში მოსულის ცენტრზე.

მოამზადა ნიკა თევზაძე

## კალეიდოსკოპი

### დენის ღარბყმის შემდეგ 30 მეტრიდან გადმოჰარდნილი მამაკაცი გადარჩა


მამაკაცი, რომელმაც ორჯერ მიიღო დენის დარტყმა და შემდეგ 30 მეტრის სიმაღლიდან ჩამოვარდა, ცოცხალი გადარჩა. მომხდარის ვიდეოჩანაწერი იუთუბზე იქნა გამოქვეყნებული და ის ოთხი ათასზე მეტმა ადამიანმა ნახა.

მამაკაცის ვინაობა და შემთხვევის ადგილი არ სახელდება.

გავრცელებული ინფორმაციითა და შავკანიანი მამაკაცის ტანსაცმლის მიხედვით, ის შესაძლოა ელექტრო გადამცემი ხაზების მომსახურე სამსახურში იყოს. როგორც ვიდეოში ჩანს, მან გატირებით მოახერხა სუნთქვის აღდგენა, თუმცა არაფერი მოუტეხია.



## „ინსტაგრამი მეფე“ ასი წლის კუზა ამხადრაბისტის გააკრიტიკეს



ამერიკელი მილიონერი დენ ბილზერიანი, რომელსაც „ინსტაგრამის მეფე“ უწოდებენ, კრიტიკის ობიექტად მას შემდეგ იქცა, როდესაც გამოაქვეყნა ფოტოსურათები, რომელზეც ალბეჩილია, თუ როგორ აზის ასი წლის კუს ზურგზე ბიკინიში გამოწყობილი მისი მეგობარი გოგონა.

ფოტო 36 წლის ბილზერიანის კუნძულ ნეკერზე (ბრიტანეთის ვირჯინიის კუნძულები) მეგობარ გოგონასთან ერთად სტუმრობის დროსაა გადაღებული. მამაკაცმა გამოაქვეყნა სურათი, როდესაც ის კუს საკვებს აძლევს, რომელსაც ზურგზე ბიკინიში გამოწყობილი გოგონა აზის.

— 270 კილოგრამიანი და ასი წლის გალაბაგოსის კუს, საოცარი ცხოველია, — დაწერა ფოტოსურათისთვის თანდართულ კომენტარში ამერიკელმა მილიონერმა.

ინსტაგრამის მრავალმა მომხმარებელმა მკაცრად გააკრიტიკა ბილზერიანი. ზოგიერთმა კი მას შეახსენა, რომ ეროვნული პარკის ხელმძღვანელობა დამთვალეირებულს სთხოვს, რომ იშვიათი ჯიშის ცხოველებს ხელით არ შეეხონ და არ შეანუხონ.

— საზიზღრობაა! უნდა გრცხვენოდეთ, უტყინოებო, — დაწერა ერთ-ერთმა ინტერნეტ-მომხმარებელმა.

— ცხოველმა ას წელს მიაღწია და იძულებულია საქმე ჰქონდეს სულელებთან, რომლებიც ზურგზე ასხდებიან, — დაწერა თავის კომენტარში მეორემ.

ინსტაგრამში ბილზერიანის გვერდს 21 მილიონამდე ხელმოწერი ჰყავს. კუს ფოტოსურათმა 438 ათასზე მეტი მოწონება და სამი ათასზე მეტი კომენტარი მიიღო.

მოამზადა კანა ნატიაშვილი

## სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა მოგირჩენთ სახის

კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**მკურნალობა:** 1. სეზორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტის; 5. ფრონტიტის; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილავს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტობათიას, მეკრდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვსხნი მეჭეჭებს; 17. განკუვრნავ ჭიებისგან; 18. დავშილი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი:** ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.  
**ტელ.:** 230 62 52; 599 16 10 82

## თურქეთსა და გერმანიას შორის ურთიერთობა დაიძაბა



გერმანიასა და თურქეთს შორის ურთიერთობა ძალიან დაიძაბა. ამის მიზეზი თურქეთის პრეზიდენტი რეჯეფ ერდოღანის განცხადება გახდა, რომელმაც გერმანიას ნაციონალურ ქმედებებში დასდო ბრალი და თქვა, რომ დღევანდელი გერმანია დიდად არ განსხვავდება იმ ქვეყნიდან, რომელსაც ოდესღაც ადოლფ ჰიტლერი მართავდა. ერდოღანის გაღიზიანება იმან გამოიწვია, რომ თურქ მინისტრებს უარი უთხრეს გერმანიის ორ ქალაქში თურქულ დიასპორასთან ერთად აქციის ჩატარებაზე.

ერდოღანის განცხადებას დიდი გამოხმაურება მოჰყვა გერმანიაში.

ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრმა ზიგმარ გაბრიელმ განაცხადა, რომ ამჟამად ამ ორ ქვეყანას შორის დაძაბული ურთიერთობაა, მაგრამ გერმანია ყველაფერს გააკეთებს იმისთვის, რომ მომავალში დაძაბულობამ იკლოს და მოხდეს ურთიერთობის ნორმალიზება.

ერდოღანის განცხადებას გამოეხმაურა გერმანიის მინისტრთა ოფიციალური წარმომადგენელიც შტეფან ზაიბერტი, რომელმაც თურქეთის პრეზიდენტის ბრალდებებს აბსურდული უწოდა.

## 33 წლის ეკატერინა რუსეთის ელჩის მკვლელობასთან კავშირს აბრალებს



ანკარაში თურქეთის პოლიციამ რუსეთის მოქალაქე, 33 წლის ეკატერინა დააკავა, რომელსაც რუსეთის ელჩის ანდრეი კარლოვის მკვლელობასთან შესაძლოა კავშირი ჰქონდეს.

ეკატერინამ 2016 წლის ნოემბერში რამდენჯერმე დაურეკა კარლოვის მკვლელ მეგობარ ალთინთაშს და მასთან ხშირი მიმოწერაც ჰქონდა. პოლიცია ეჭვობს, რომ მათი საუბრები რუსეთის ელჩის მკვლელობას ეხებოდა.

ანდრეი კარლოვი გასული წლის 19 დეკემბერს ერთ-ერთ გამოფენაზე მოკლეს. მისი მკვლელობა მეგობარ ალთინთაში ყოფილი პოლიციელი აღმოჩნდა, რომლის ლიკვიდაციაც პოლიციამ ადგილზევე მოახდინა.

დაკავებული ეკატერინა ანკარაში ცხოვრობს და ის სუტენიორობით ირჩენდა თავს. მისი მოვალეობა იყო, რომ მსხვილი ბიზნესმენების შეხვედრები მოეწყო ქალებთან სხვადასხვა სასტუმროებში.

ეკატერინა ამჟამად ანკარის ერთ-ერთ ციხეში იმყოფება.

მოამზადა ბექა გოგინაშვილი

## კალეიდოსკოპი

### პრაზიდანის სასახლის თავზე დროის აზრანისთვის პარავაში უსხოელი დააკავეს

ვარშავაში დააკავეს უცხო ქვეყნის მოქალაქე, რომელმაც უპილოტო საფრენი აპარატი პრეზიდენტის სასახლის ბელვედერის თავზე ააფრინა. ეს ინფორმაცია პოლონეთის სახელმწიფო დაცვის სამსახურმა გაავრცელა.

სახელმწიფო დაცვის სამსახურის თანამშრომლები ობიექტის დაცვას ახორციელებდნენ, როდესაც ბელვედერის თავზე უპილოტო საფრენი აპარატი შენიშნეს. მათ დროის ოპერატორის ადგილმდებარეობა დაადგინეს, ის იქვე, გვერდით მდებარე პარკში იმყოფებოდა, ამის შემდეგ ის დააკავეს და საბუთები შეუმოწმეს, — ნათქვამია განცხადებაში.

ინციდენტი დღის მეორე ნახევარში მოხდა. გაირკვა, რომ აპარატს დისტანციური მართვის დახმარებით ლატვიის მოქალაქე მართავდა. მას თან ახლდა ორი ქალი, რომლებიც რუსეთიდან იყვნენ ჩასულები. სახელმწიფო დაცვის სამსახურმა ასევე გაავრცელა ინფორმაცია ოქმის შედგენაზე, დაკავებულის პოლიციისთვის გადასაცემად. გარდა ამისა, მომხდარის თაობაზე საკმის კურსში ჩააყენეს პოლონეთის შინაგანი უსაფრთხოების სააგენტო, რომელმაც უკვე დაიწყო შესაბამისი მოქმედებები.



მოამზადა კანა ნატიაშვილი

## განცხადებები

### გთავაზოთ სამსახურს

● გვესაჭიროება თანამშრომელი ოფისში სამუშაოდ. სწავლა და მხარდაჭერა გარანტირებულია. ღირსეული ხელფასი. რუსული ენის ცოდნა აუცილებელია. ტელ: 568-52-50-02.

● რუსულენოვან კომპანიას ესაჭიროება უფროსი მოადგილე. სამუშაო გამოცდილება აუცილებელია. ტელ: 579-02-49-90.

### მკურნალობა

● ვმკურნალობ ბუასილს (პემორი) — სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მეცნიერულ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასაღვევი წამლით. აჩქარებს ოპერაციის შემდგომ ჭრილობების შეხორცებას. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლებით ტკივილებისაგან. ტელ: 568-90-78-09, 295-40-58 ჯემალი.

● კოქსარტროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა — შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენების 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ლვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის განმედა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენების 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით — იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკა-

ვება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) — მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენების 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

